

მ რ ი

№ 5

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მამულის საქმე ჩვენში—გზაში გადგე [შენი]...
თარ.—ვ. ღ—ძესი; შინაური შემსახვენი...
—გ. გვაზავასი; მთა—ალბანელისა; მცირე
შენიშვნა მამულების შემქნათა საურსადღებოდ—
ივანე თურქია; თეატრი—B; მაცდურა—ი. გრი-
შაშვილისა; ინგილოთა უფთავ-ცხოვრება—ზ. ედი-
ლისა; ჯილდო მეფის.—შ. ამირეჯიბისა; მთის
აწვივი შამილი—ა. ფრონელისა;

კვირა, 7 მარტი

საზოლიტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი

1910 წ.

მამულის საქმე ჩვენში.

ეროვნული ცხოვრება მეტად რთული მოვლენაა. მას ფართოდ გაშლილი აქვს ფესვები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და როდესაც ამა თუ იმ ერს თავს დაატყდება უბედურება, ჩავარდება გაჭირვებაში, მაშინ ყოველივე მის არსებობის მხარეს ერთნაირ მოვლის განსაცდელი. დღესაც ჩვენ სწორედ ასეთი დრო დაგვიდგა. ასი წლის განმავლობაში განმანადგურებელმა ცხოვრებამ, უკულმა ფარცხვამ ჩვენი არსებობისა მიგვიყვანა იმ წერტილამდე, როდესაც ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე და მედგრად შეებრძოლოს ჩვენ განმანადგურებელ ძალებს. ნურავინ იტყვის, რომ განსაცდელი მცირედი იყო: ნურავინ დაიმშვიდებს გულს იმ მოსაზრებით, რომ დღესაც ჩვენი კულტურული არსებობა თვალსაჩინოა. თუ დღეს ადამიანი ადამიანისთვის მგელია, თუ დღეს არსებობისათვის ბრძოლა გამწვავებულია და უსწორ-მასწორობაზე აგებულ საზოგადოებაში ურიცხვი პიროვნება მსხვერპლად ეწირება საარსებო ბრძოლას, მით უფრო ძლიერი, სასტიკი, შეუბრალებელი და უღომბელია დღევანდელ პირობებში ეროვნული ბრძოლა. და ეს ხდება იმიტომ, რომ როგორც პიროვნულ ბრძოლაში, ისე ეროვნულში არის დამჩაგრელი და დაჩაგრული. როცა პირველს მხარესაა მთელი სახელმწიფო ორგანიზაცია, როცა მის სამართლიან თუ უსამართლო ქცევას ყოველთვის მხარს უჭერს ძალდატანებითი უფლება, ამავე დროს მეორე მხარე მაშინაც მტყუანია, როცა ის მართალია, ის ყოველთვის მტყუანია, რადგანაც დაჩაგრულია. ქართველი ერი დაჩაგრულია, მისი პიროვნება გათელილია და ეს გათელვა იცით თქვენ, რამდენად შორს წავიდა? არაა გასაკვირი, რომ ვინმე ვიგინდარა, თავზე ხელ-აღებული მოვიდეს და თქვენი დედა შეურაცხყოფს, ცუდად მოიხსენიოს, გულსატკენი, შემადრწუნებელი სწორედ ისაა, როცა შვილი თვითონ თავის დედას შეურაცხყოფს. და

ასეთი შემთხვევა დღეს ჩვენმა დუხჭირმა ბედმა ბლომად წარმოშობა. ქართველი საქართველოს დამრღვევი, ქართველი ჩვენი არსებობის წინააღმდეგ მომქმედი, ქართველი ქართველთა სიწმინდეთა შემლახველი—ჩვეულებრივი მოვლენაა გახდა.

მიმოიხედეთ ირგვლივ: გადაგვარებულნი ქართველნი ღალატობენ თავის ლიტერატურას, ოჯახს გადაგვარების გზაზე აყენებენ, შვილებს სამშობლო ენას პირიდან აცლიან, მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მამულებს უპატრონოდ სტოვებენ.

ყოველი ერი თავის აღყვავების ხანაშიც იძლევა ღვარძლს, მაგრამ როგორც დაძაბუნებულ ყანაშიაც ღვარძლი ლაღობს, ისე ჩვენშიაც ყოველი ბოროტი ძალა ფრთას იშლის და ფართაშებს. ღვარძლიც ძალიან გაიზარდა. ერი დასნეულდა, მაგრამ არა ისე, რომ განკურნება არ შეეძლოს. ხოლო რომ ის გასწორდეს, რაც ასი წლობით გაფუჭებულია, რომ აღდგეს ძველი სულიერი ძალა და ისევ თავი ადამიანად ვიგრძნოთ, რომ მიძინებულმა ეროვნულმა სულმა კვლავ გამოიღვიძოს და ფრთა გაშალოს, ამისათვის საჭიროა ყველა ჩვენი მოკეთენი შემოკრბენ, ყველა ჩაებას საერთო ფერხულში და ეროვნულ საკურთხეველზე ზვარაკად მიიტანოს მაქსიმუმი იმისა, რაც მის ძალ-ღონეს შესწევს.

ცხოვრებაში სენი ნელ-ნელა უჯდება სხეულს და მერე ერთბაშად წააწვება თავს და ეცდება გასრისოს. ჩვენშიაც ასე მოხდა. ნელ-ნელა ვმოქმედებით ჩვენი არსებობის წინააღმდეგ და ახლა კი იმ წერტილამდე მივალწიეთ, როცა საბელს ყელში გვიჭერენ. განსაკუთრებულის სიცხადით შეიძლება ეს ითქვას მიწად-მფლობელობის შესახებ. ას წელიწადს ქართველთა მიწა-წყალი იფანტებოდა, ვინ არ ისაკუთრებდა მას. მაგრამ უკანასკნელ მოძრაობის შემდეგ ისეთი სისწრაფით მოქმედებს ეს პროცესი, რომ პირდაპირ საოცარია. ყოველ კუთხეს კალიასავით მოედო მოსული ხალხი, რომელიც მარჯვე ხელის ხელმძღვანელობით და დახმარებით მამულს მამულზე ხელში იგდებს. საბრხე იქაც-კი მოგველის,

სადაც თითქო არ მოველოდით. იმერეთის სხვა-და-სხვა კუთხეში სწრაფად იკიდებს ფეხს გადმოსახლები-საქმე. გაიყიდა რაზმდენიმე მამული შავი ზღვის პირას, ამ თხუთმეტ დღეში იყიდება ვეებერთელა მამული ნიგოთში, რომელიც წინედ მაჭუტაძეებს ეკუთვნოდა. გაყიდვა მოელის სამეგრელოს თავადის დადიანის თვალ-უწვდენელ მამულს, რომლითაც დღეს მთელი სამეგრელო ცხოვრობს, იყიდება სხვა დიდი მამულებიც და ყველაფერი ეს ხდება საოცარის სისწრაფით.

უბედურება ყოველთვის გამომათხიზლებელია, მაგრამ ჩვენთვის თითქო ამ კანონმაც ძალა დაჰკარგა. ასეთ გაჭირვების დროს ზოგიერთი სოფლები ერთმანერთს ეჯიბრებიან, მამულების ფასს საოცრად აღიდებენ და ერთმანეთთან ქიშპობაში გართულნი მამულს ჰკარგავენ.

ამავე დროს კიდევ დარჩენილან ჩვენში ისეთი უფიცნი და თავის თავის და ქვეყნის დამლუბველნი, რომელნიც გაიძახიან: ჩვენ რაზედ შევიძინოთ მამულები, სულ ერთია, მაინც ჩვენ ხელში ჩაგვივარდებოა. ის კი არ იციან, თუ რა საბრხე მოელით, ის კი არ იციან, თუ როგორ ადვილად შეუძლიათ ერთ მშვენიერ დღეს კეტით იფრინონ და გარეკონ, როგორც უკვე ერეკებიან. ის კი არ იციან, რომ მათ იგივე მოელით, რაც მთელ ყირიმში მოხდა: ადგილობრივი მცხოვრები თათრები ცხვრის ფარასავით გარეკეს და მათ მამულებზე ციხე-დარბაზები ააგეს. ნუ თუ ეს მათთვის ცხადი არ არის? და თუ ცხადი არაა, ყველა შეგნებულ მამულიშვილის მოვალეობაა, არ დიიშუროს თავისი ძალ-ღონე და ჩააგონოს ეს უბედურნი, თუ რა გზას ადგანან. იმავე დროს მოვალენი ვართ თავშივე მოვსპოთ ის ქიშპობა სოფელთა შორის, რომელმაც ასე აშკარად იჩინა თავი. მოვალენი ვართ საქმეს შევუდგეთ და სხვა ღონისძიებაც გამოვნახოთ, რათა კარზე მომდგარ უბედურებას ჯეროვანი მომზადებით დავუხედეთ.



გზაში

გი დე მოძასანისა

ფ რ ა ნ გ უ ლ ი თ

გუძღვნი ან—ს.

კანნიდგან მომავალი ვაგონი სავსე იყო; ღაზარაკობდნენ, ყველანი ერთი მუკრეს იცნობდნენ. ტრასკოხს რომ გასცდნენ, ვიღამაც სთქვა: „აქაა, რომ ჰქვავენ ადამიანს.“ და დაიწყო ღაზარაკი ვიღაც საიდუმლო და შეუპერბულ მკვლელის შესახებ, რომელიც ეს ორი წელიწადია ხან და ხან იმსხვერპლებს ხელმე მოგზაურის სიცოცხლეს. თვითუული ადამიანი თავისებურად გულისხმობდა, თვითუული

თავის აზრს უზიარებდა; ქალები კანკალით გაჭურვებდნენ ფანჯარაში ღამის წვედიადს, თანაც შიშს აკტაცა, ვა თუ უცებ ვინმე კარებში თავი შემოჭეოსო! და წყურველნი საშინელი ამბებისა, ცუდი შემთხვევების, ხეჭმარებისა ში გიჟებთან მარტოდ-მარტო დარჩენის, საეჭვო ზირებთან რამდენიმე სსათის გატარების.

თვითუულმა ადამიანმა იცოდა თავისი ღირსების ანგდოტი, თვითუულს შეეშინებია, წაქცია და შეეკრა რომელიმე ბოროტმამქმელი განსაცვაფრებელ ზირობეში, დადინჯებულის აზროვნებით და გასაცდარის გაბეღულებით. ერთმა ექიმმა, რომელიც ეოველთვის ზამთრობით სამსრეთში რჩებოდა, მთინდობა, ჯერმა რომ მოუწია, ერთი ამბის მოყოლა:


— მე ვერასოდეს ვერ ვიგდე ხელთ შემთხვევა, რომელიმე ამგვარ საქმეში გამოქცადნა ჩემი გამბედაობა; მაგრამ ვიცნობდი ერთ ქალს, ერთ ჩემ ვადადმოფთას-განს, დღეს იგი მკვდარია, რომელსაც შეემთხვა მეტის-მეტად გასაშტერებელი ამბავი და იმავე დროს ფრად უცნაური და მეტის-მეტად გრძობიერი.

ეს იყო რუსი, გრაფის მეუღლე მარია ბარანოვისა, დიდებული ქალი, შესანიშნავი სიღამაზისა. ხომ იცით როგორი ღამაზებიც არიან რუსის ქალები, თუ არა და როგორ ღამაზებად გვეჩვენებიან ჩვენ, თავის ნაზის ცხვირით, ზატარა ზირით, მიანჯღვებულის თვალებით, რომელნიც გამოურკვეველას ფერისა არიან, რაღაც რუხვი ღაჭყარდის ფერის, და მათი ცივი სიკვლეუტე; - ცოტად ტლანქი! მათ აქვსთ რაღაც ავი და მომჯადოებელი, ამბავი და ტკბილი, ნაზი და მრისხანე, სავსებით მოსწონი ფრანგისთვის. შეიძლება მხოლოდ მადგმისა და ტიზის სხვადასხვაობის მეტი არც არა იყოს რა, რომ ამდენ რამეს ვითვალისწინებ მათში.

რამოდენიმე წლის განმავლობაში მისი ექიმი ატყობდა, რომ ფილტვის ვადადმოფთობა უნდა გასჩენდა და სცდილობდა როგორმე დაეწმუნებია სამსრეთ საფრანგეთისკენ წამოსულიყო; მაგრამ იგი მიუხეობით უარყოფდა ჰეტერბურდის მიტოვებას. ბოლოს წარსულ შემოდგომაზედ, იმედიც აღარ ჰქონდა მორჩენისა და ექიმმა გააბრთხილა ქმარი, რომელმაც დაუფრებელი უბრძანა თავის მეუღლეს მანტრანს წამოსვლა.

იგი ჩაჯდა მატარებელში, მარტოდ-მარტო ვაგონში, მოსამსახურენი-კი სხვა განუფრადებლობაში იყვნენ. ვაგონის კარებთან იჯდა ცოტა სევდიანი, გაჭურვებდა სოფლებსა და დაბებს, ჰგრძობდა, რომ სრულებით მოწყვეტილი იყო. სრულებით განმარტოებული ცნობრებაში, უბავშვოდ, თითქმის უნათესავოდ, ჰყავდა მხოლოდ ქმარი, რომლის სიყვარული უკვე მკვდარი იყო და რომელიც ასე აკლებდა მას ქვეყნის განაზირას, და თანაც-კი არ მოჭეუბოდა, თითქოს ვადადმოფთვი მსახური სამკურნალოში გაუგზავნიანო.

თვითუულ სადგურს, მისი მსახური ივანე მიდიოდა გასაკებად, ხომ არაფერი აკლია ჩემს ქადაბტონსოო. ეს იყო მსახური მსახური ყურ-მოჭრილი და თავდადებული, ეოველი მისი ბრძანების აღსასრულებლად განმზადებული.



დადამდა, მატარებელი მიჰქრდა მეტის სისწრაფით. მას არ ეკარებოდა ძილი, ძალზედ აღელვებული იყო. უცებ გაიფლტო გუნებაში ფულის დათვლა, რომელიც ქმარს მიეცა უკანასკნელ წმინდა საფრანგეთის ოქროებით. გასწრაფდა ხანთა და მუხლებზედ დაიდინა ღიოთხის ბრჭყვიალა ნაკადული.

მაგრამ უცებ ცივმა ნიაგმა დაუბერა სახეზედ. განცვიფრებულმა თავი აიღო. კარი იღებოდა. ქანმა მარამამს, აღელვებულმა, მსწრაფად გადაიფარა სათბური კაბაზედ დაურიღო ფულზედ და გაირინდა. რამდენიმე წამამც გაიარა, შემდეგ გამჩნდა ერთი ადამიანი, თავ-შიშველი, ხელში დაჭრილი, ქმინვით, კარგად გამოწყობილი. მიიგდო კარი, დაჯდა, შესედა თავის მეზობელს ბრჭყვიალა თვლებით, შემდეგ შეიხვია ცხვირსახრციით ხელი, საიდგანს სისხლი სდიოდა.

ახლგაზრდა ქალი ჭკობობდა რომ შიშისგან დონე ეტლებოდა. ეს კაცი უთუოდ ხედავდა, როგორ ითვლიდა ოქროს და შევიდა მის გასაცარცვად და მისაკვლავად.

იგი სულ ქალს მისჩერებოდა, ქმინით, უცნაურის სხით, უეჭველია, მზად იყო სცემოდა მას.

უცებ წარმოსთქვა:

— ქალბატონო, ნუ გეშინიათ!

ქალმა ვერაფერი უზსუხა, ვერ შესძლო ზირის გაღება, მხოლოდ გულის ცემა და ფერებში ზუსუნია-და ესმოდა.

მან განუთქვა:

— ბოროტ-მომქმედი არ გეგონათ, ქალბატონო!

ქალი ისეუ სმას ვერ იღებდა, მაგრამ უცებურ მოძრაობის დროს, მუხლები ერთი მეორეს მოიხვედრა და მისმა ოქრომ იწყო ხალიხზედ დეხა, თითქმის სწვიმარი ღარიდგან წყალი გადმოდისო.

კაცი განცვიფრებით მისჩერებოდა ამ ღიოთხის დეღეს და უცებ დაიხარა ასაკრეფად.

შეშინებული ქალი წამოფარდა, ძიხს დაჭყვარა მთელი თავისი სიმიდრე და მიფარდა კარებს გზასკედ გადასხტომად. კაცი მიუხვდა განზრახვას, სწვდა, მოჭვვია ხელი, ძლით დაჯინა და ხელების დაჭერით უთხრა: „უფრო მიგდეთ, ქალბატონო, ბოროტ-მომქმედი არ ვარ და ამის დასამტკიცებლად აგიკრეფთ ამ ფულს და თქვენვე მოგართმევთ. მაგრამ მე დაღუბული ადამიანი ვარ, მკვლარი ადამიანი, თუ არ მომიხერხეთ სამსდგარზედ გადასვლა მეტს ვერას გეტყვით. ერთ საათში რუსეთის უკანასკნელ სადგურზედ ვიქნებით; ერთს საათსა და ოცს წამში გადავივლით სახელმწიფოს საზღვარს. თუ არ დაუმხარეთ, დავიღუბები. ამასთანავე, ქალბატონო, იცოდეთ, არც არავინ მომიკლავს, არც გამიცარცვავს, არც არაფერი ზტიოხსების წინააღმდეგეო ჩამიდგნია. ამის ფიცს გაძლევთ. მეტის თქმა აღარ შემიძლია.

მუხლი მოაფარა, აჭკრითა ოქრო ეველგან, დასჯადომის ქვეშ, თანაც დაეძებდა შორს გაგორებულ ფულსაც-გი. შემდეგ, როდესაც ტყავის ჩანთა ხელახლა გაიფლტო, თავის მეზობელს დაუდო, კრინტის დაუძვრელად,

მიუბრუნდა ისეუ თავის კუთხეს და დაჯდა.

არც ერთი მათგანი არ ინძროდა. ქალი უძრავად და მუნჯად იყო, ჯერ კიდევ შიშისგან დასტრქმულია მაგრამ თან და თან მშვიდდებოდა. კაცი-გი ბრჭყვიალა ირხეოდა, ეოველ მოძრაობას მოკლებული იყო; სწორედ იჯდა, თვალბ-გაშტერებული, მეტად გაფითრებული, თითქმის მკვლარიაო. ხანდახან ქალი უცებ თვალს შეავლებდა ხოლმე, მაგრამ უცებვე მოაშორებდა. ასე ოცდა ათი წლის კაცი იქნებოდა, მეტად ღამაზი, კარგი ზრდილი ადამიანის ეველას ნიშნებით.

მატარებელი მიჰქრდა წველიადში, გულსაკლავად ბღავოდა ღამეში, ხან ასელებდა თავის სიარულს, ხან სრულის სისწრაფით მიდიოდა. მაგრამ უცებ მოუკლო თავის მოძრაობას, რამდენიმეჯერ დასტვინა და სრულებით გაჩერდა.

ივანე კარებთან გამჩნდა ბრძანების მისაღებად.

გრაფის მეუღლემ მარამამს, აკანკალებულის ხმით, უკანასკნელად თვალი შეავლო თავის უცნაურ თანამგზავრს, შემდეგ უთხრა თავის მსახურს, მკვასხედ:

— ივანე, დაბრუნდები გრაფთან, ჩემთვის საჭირო აღარა ხარ.

განცვიფრებულმა კაცმა ორივე თვალი გააშტკრა. მან წამოიღულღულა:

— მაგრამ... ქალბატონო.

მან უზსუხა:

— არა, შენ აღარ წამოხვალ, მე გადავიფიქრე. მინდა, რომ რუსეთში დარჩე. დაიჭი, აი დასაბრუნებელი ფულიც. მომეცი შენი ქუდი და მოსხურავი.

მოხუცმა მსახურმა, გაშტერებულმა, მოიხარა ქუდი და გაუშვირა თავისი მოსხურავი, ზასუნის მიუცემლად, მიჩვეულმა ბატონთა უცებურ სურვილების და კარდუვალ ჭირვეულების მორჩილებას. და წავიდა თვალ-ცრემლიანი.

მატარებელი ხელახლად დაიძრა, საზღვარს უახლოვდებოდა.

მაშინ გრაფის მეუღლემ მარამამს უთხრა თავის მეზობელს:

— ეს ნივთები თქვენთვის არის, თქვენ ხართ ივანე, ჩემი მსახური. მხოლოდ ერთ ზირობას გიღებთ იმი-სის, რასაც მე ჩავდივარ: რომ არასოდეს არ დამეკლამარაკოთ, რომ ერთს სიტყვასაც არასოდეს არ მეტყვიოთ, არც მადლობის გამოსხსტავად, არც არაფრისათვის, რაც-გი უნდა იყო.

უცნობმა თავი დაიხარა კრინტის დაუძვრელად.

მადე ხელახლა გაჩერდა მატარებელი და გამოწყო-ბილმა საზღვრის მოხელეებმა დაათვალიერეს ვაკანი. გრაფის ცოლმა გაუშვირა ქალღებები და ვაკანის კუთხეში მჯდომარე ადამიანზედ მითითებით უთხრა:

— ეს ჩემი მსახურია ივანე, რომლის ზასზორტიც აქ არის.

მატარებელი ხელახლად დაიძრა.

მთელ ღამეს ივანი მარტოდ მარტონი დარჩნენ, ორივე დამუნჯებულნი.

გათქნდა, რადგანაც გერმანიის ერთ სადგურზედ

შეჩერდა მატარებელი, უცნობი ჩავიდა; შემდეგ ვაგონის კარებთან მომდგარმა უთხრა:

— მომიტყევეთ, ქაღალტონო, ადოქმის გარდასვლა; მაგრამ მე დაგაკარგვინეთ მსახური, მართებულა, მისი მაგიერობა გავსწიო. ხომ არაფერი გნებავს?

ქაღალტონო უხასხუხა:

— დამიძახეთ ჩემს მთავარს.

იგი წავიდა. შემდეგ გაქჷქრა.

როდესაც ჩამოდიოდა ზოგიერთ ბუფეტებში, ატეობდა, რომ შორიდგან მოსჩქრებოდა მას. ივინი მოვიდნენ მანტონას.

II

ექიმი ერთს წამს დაჩუმდა და ხელახლად განაგრძო:

— ერთ დღეს, ავადმყოფებს რომ ვიღებდი ჩემს სამუშაო ოთახში, დავინახე ერთი მაღალი ყმაწვილი კაცი შემოვიდა და მითხრა:

— ექიმო, მოვედი თქვენთან გრაფის მეუღლის მარიამ ბარანოვის ამბის გასაგებად. მე გახლავართ, თუმცა ის კი სრულებითაც არ მიცნობს, მისი ქმრის მეგობარი.

ვუპასუხე:

— მისი საქმე წასულია. იგი ველარ დაბრუნდება რუსეთს.

და ეს კაცი უცებ მოჰყვა ქვითინს, შემდეგ წამოდგა და ბარბაცით გავიდა მთვრალი ადამიანივით.

იმავე საღამოს გავუშეღავე გრაფის მეუღლეს, რომ ერთი უცხოელი კაცი მოვიდა ჩემთან მისი ჯანმრთელობის ამბის საკითხავად. მღელვარება დაეცყო და მომიტხრო მთელი ეს ამბავი, რომელიც ეხლა მოგახსენეთ. მან დასძინა:

— ეს ადამიანი, რომელსაც სრულებით არ ვიცნობ, ეხლა აჩრდილივით დამდევს, ყოველ გასვლაზედ ვხვდები მას; იგი მომჩივრებია როგორღაც უცნაურად, მაგრამ არასოდეს-კი არ დამლაპარაკებია.

კოტას დაფიქრდა და შემდეგ დასძინა:

— აი, სანაძღვოს დავსდებ, რომ ის ეხლა ჩემ ფანჯრის ქვეშ არის.

ადგა სკამ-ლოგინიდან, წავიდა, გასწია ფარდას და მაჩვენა მართლაც ის კაცი, რომელიც ჩემთან მოვიდა, დამჯდარი სასიერნო სკამზედ, სასტუმროსკენ თვალეზ აპყრობილი. შეგვნიშნა, წამოდგა და გავგზორდა, ერთხელაც არ მოუბრუნებია თავი ჩვენსკენ.

ამაირად დავესწარი განსაცვიფრებელსა და მწუხარე ამბავს, მუნჯ სიყვარულს ამ ორი არსებისას, რომელნიც ურთერთს არც-კი იცნობდნენ.

მას უყვარდა იგი გადარჩენილი პირუტყვის თავდადებით, მადლობელისა და სიკვდილამდე თავდადებულის. ყოველ დღეს მოდიოდა და მეკითხებოდა: „როგორ არის?“ ჰგონობდა რომ მეც მიმხვ-

დარი ვიყავი. და საშინლად სტიროდა, როდესაც ნახავდა ხოლმე მას გავლილს დღითი-დღე უფრო დასუსტებულსა და ფერ-მიხდილს.

ქალი მეუბნებოდა:

— ერთჯელ მეტად არ დავლაპარაკებოვარ ამ განსაკუთრებულ ადამიანს და ასე მგონია, თითქოს ოცი წელიწადია ვიცნობდე მას.

და როდესაც ივინი ხვდებოდნენ ერთი მეორეს ქალი საღამოზედ სპასუხო საღამოს აძღვედა დინჯისა და მომხიბლავის ღიმლით. ვგრძნობდი ამ ქალის ბედნიერებას, ასე მიტოვებულის, რომელიც თავის თავს დაკარგულად იცნობდა, ვგულისხმობდი მას ბედნიერად, რომ ასე უყვარდა იგი, ასეთის პატივისცემით და ასეთის სიმუდმივით, ასეთის გადაჭარბებულის პოეზიით, ასეთის ყველაფრისათვის განმზადებულ თავდადებულობით. და მაინც გატაცებულის სიჯიუტის ერთგული იგი ყოველის უიმედოდ უარჰყოფდა მის მიღებას, მისი სახელის გაგებას, მასთან ლაპარაკს. იგი ამბობდა: „არა, არა, ეს გამიფუჭებდა ამ უცნაურს მეგობრობას. ერთი მეორის უცხოად უნდა ვიცხოვროთ“.

რაც შეეხება მას, იგი აგრეთვე იყო ნამდვილად ვილაც, დონ კიხოტის მსგავსი, რადგანაც არაფერი არ მოუმოქმედნია ამ ქალთან თავის დასაახლოვებლად. მას ჰსურდა ბოლომდე დაეცვა სულელური აღთქმა, რომელიც მან დაუდო ვაგონში, არასოდეს აღარ დალაპარაკებოდა მას.

ხშირად, სისუსტის ხანგრძლივი საათების განმავლობაში, იგი დგებოდა თავის სკამ-ლოგინიდან და მიდიოდა ფარდის გადასაწვევად იმის დასანახავად, თუ იგი იქ იმყოფებოდა, მის ფანჯრებ ქვეშ. და როდესაც დაინახავდა მას, მუდამ უმოძრაოს თავის სკამზედ, ბრუნდებოდა ისევ დასაწოლად ბავებელ ღიმლილ-მოსული.

ერთ დილას მიიცვალა, მიახლოებით ათს საათზედ. სასტუმროდგან გამოსვლისას, იგი მოვიდა ჩემთან, სახე-შეშფოთებული; მან იცოდა უკვე ახალი ამბავი.

— ერთს წუთს მინდა ვინახულიო იგი თქვენს წინაშე, მითხრა მან.

ხელი მივეცი და დავბრუნდი სახლში.

როდესაც გარდაცვლებულის ლოგინის წინ წარსდგა, მან ჩავლო ხელი მის ხელს და დაუწყო ამბორი დაუსრულებელის ამბორით, შემდეგ გავარდა როგორც გონ-მიღებული.

ექიმი ხელახლად დადუმდა, და განაგრძო:

— აი, ნამდვილად, ყველაზედ უფრო იშვიათი შემთხვევა რკინის გზისა, რომელიც მე ვიცი. უნდა სთქვას კაცმა აგრეთვე, რომ მამა-კაცები რაღაც უცნაური სულელები არიან.

ერთმა ქალმა დაბალის ხმით წაილულლულა:

— ის ორი არსება ნაკლებ შემოილილი ყოფი-

ლა, ვიდრე თქვენ გგონიათ... იგინი ყოფილან... იგინი ყოფილან...

მაგრამ მას აღარ შეეძლო ლაპარაკი, ისე სტიროდა. რადგანაც მის დასამშვიდებლად გამოსცვალეს საუბარი, ვერაფერს გაიგო, რისი თქმაც უნდოდა მას.

ვ. ლ—ძე.



შინაური მიმოხილვა

მონობის არსებითი თვისება ის არის, რომ რამდენსაც მეტს თავს დახრი, იმდენს მეტს მოგართყამენ. ჩვენდა საუბედუროდ, როცა სხვებმა თავისუფლება მოიპოვეს, ჩვენთვის მაშინ გაიქცა მონობის ბორკილი და აღმოჩნდა, რომ მონურ გრძობათა გამოხატვაში ჩვენ მეტად დავწინაურებულივართ. აქედან მოყოლებული დღემდის ხალხი, თუ საზოგადო მოღვაწენი ხშირად ერთმანეთს ექიშპებოდნენ ამ მონურ გრძობათა გამოძვლავებაში და არ სცხვენოდათ საქვეყნო სიკეთედ გამოცხადებათ ის, რაც ქვეყნის დამლუბველი იყო; ამ მელაკუდოას და წარამარად მონურ დრეკას მოჰყვა ის შედეგი, რომ არამც თუ მოსულნი გვთელავდენ, ჩვენ თვითონ დავიწყეთ თავის თავის თელვა. ყოველი მშობლიური აბუჩადავიგდეთ, ბევრმა ქართული ენა ოჯახიდგანაც განაძვეა, ბევრმა გვარიც კი გადაიკეთა, ქართველობა არ დამწამონო, გაჩნდენ დღევანდელი რაინდები, რომელნიც ქართულ საზოგადო კრებაზედაც ქართულად ბაასს ერიდებიან. და რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ, როცა შენ თვითონ შენ თავს არ აფასებ, ვილაც „უსტინოვიჩმა“ ცხოველებიც გვიწოდოს!.. განა ეს პირველი შემთხვევაა? განა უსტინოვიჩები თავის აზრს ცხოვრებაში არ ატარებენ? განა ჩვენც არ ვშველით მათ? ჩვენ არ დავიჯინეთ ისინი თავზედ? დიახ! დავძაბუნდით და ყველა ვიგინდარა ფეხს გაგვკრავს, მაგრამ იმედია, ამ დაძაბუნების ხანასაც თავს დავაღწევთ, მოვესწრობით იმ დროს, როცა ქართველ უსტინოვიჩებსაც ბურთს პირში ჩაეჭირით და ნამდვილ უსტინოვიჩებსაც გზას ვუჩვენებთ. ხოლო ამისათვის საჭიროა მეტი თავ-მოყვარეობა, მეტი შეგნება, მეტი მუშაობა. და სანამ ჩვენს შებლა-ლულ სახელს აღვადგენდეთ, მანამდის უღომობელი ბრძოლა ყველა უსტინოვიჩების წინააღმდეგ...

* *

ახირებულმა მოვლენამ გაიდგა ფესვი ჩვენს საზოგადო საქმეებში. ადამიანი გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე, უკისრნია პასუხის-საგები ადგილი და იმავე დროს ის აწარმოებს თავის საქმეებს, რომ არ შეუძლია საზოგადოებას თავის ნამოქმედარის

ანგარიში მისცეს. ამის გამო ისედაც ღარიბ საზოგადოებაში გამეფდა თვითნებობა და აუტანელი დღომ-მოდღომა, საქმის გადაფუჩებება, საზოგადოებრივობის შესუსტება. ვერ ვახერხებთ, მცირედი საქმე მაინც ისე ვაწარმოვოთ, რომ ყველაფერი ნათლად სჩანდეს და ორგულსაც არ შეეძლოს, რაიმე ბრალი დავვდოს. როგორც მოგეხსენებათ, დღეს ქუთაისში შენდება ქართულ გიმნაზიისთვის საკუთარი ბინა. სარევიზიო კომისიამ განიხილა შენობის საქმეთა ხელმძღვანელების, დებუტატთა საკრებულოს მოქმედება და აი რას გვეუბნება: „ბევრს ხარჯს გასამართლებელი საბუთი არ მოეპოება,“ „საკრებულოსათვის წაღებულ ზედ-მეტ ფულიდან 400 მან. უსესხებიან კერძო პირისათვის. ბევრს მოსამსახურე პირს ფული წაუღია უკანონოდ.“ ასეთ საქმის წარმოებას კომისიის წევრი ბ. საყვარელიძე განმარტავს: „უწყსოება ანგარიშის წარმოებაში საარაკოა“. ყველაფერი ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ საქმის წარმოებაში არ ყოფილა დაცული ის წესი, რომელიც აუცილებლივ საჭიროა ყოველ საზოგადო საქმეში. თუ თქვენ ერთი გროშიც რამ მიგიღიათ საზოგადოებისაგან რაიმე საქმისათვის, ამ გროშს ისე არ ხარჯავთ, რომ მისი დანიშნულება ცხადი იყოს ყველასათვის, ამით სახელს იტეხთ საზოგადოების წინაშე და თვითონ საქმესაც აფერხებთ. ამიტომაც ჩვენ წინადაც აღგვინიშნავს და ეხლაც განმეორებით მოვითხოვთ სასტიკად თვალ-ყური ედევნოს ყოველივე საზოგადო საქმეს, რათა ძველებური სისტემა თვითნებობისა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას.

* *

გურულები მუდამ გაჰყვიროდენ და ამაცობდენ — ჩვენ განათლების საქმეში სხვემს ვუსწრებთო. მაგრამ თურმე ესეც გადაარბებული ბაქიობა ყოფილა. თვარა რა წარმოსადგენი იყო, რომ გურიის შუაგულში, ისიც ქალაქში, ოზურგეთში იმდენი კაცი არ გამოჩნდებოდა, რომ ერთი უბადრუკი სამკითხველო ესაზრდოებიათ? მაგრამ სამწუხაროდ ფაქტი ასეთია, დღეს ოზურგეთის სამკითხველო გაუქმებულია.

* *

გაჩაღდა გადმოსახლების საქმე. გადმოსახლების სამმართველო საოცარის მხნეობით შესდგომია თავის მიზნის განხორციელებას და გადაუწყვეტია ყოველ უწინარეს ყოველი ღონე იღონოს და დაასახლოს შავი ზღვის ნაპირები. ასეთივე ბედი მოელოს ტფილისის გუბერნიასაც. ჩვენი ხალხი კი უმიწაწყლოდ უნდა დარჩეს და გაბოგანების ბზას დაადგეს. ასე ზრუნავენ ჩვენს კეთილ-დღეობისთვის...



მეზია

II

ლიტერატურაში ძლიერ ხშირია და მიღებული შედარება რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთისა. მართლაც ოროვე სახელმწიფო შესდგება სხვა და სხვა ერისაგან და ის ეროვნული ევოლუცია, რომელიც გამოიარა ავსტრო-უნგრეთმა, ალბად რუსეთსაც არ ასცდება.

როგორც ეხლანდელს რუსეთში, მაშინდელ ავსტრიაში მიღებული და გამეფებული იყო შინაურ პოლიტიკაში ორი პრინციპი: **ცენტრალიზმი** და **გერმანიზაცია**. სახელმწიფოს ცენტრად აღსარებული იყო ქალაქი ვენა, იქ მოთავსებული და მოგროვილი ყოველი უმაღლესი სადმინისტრაცია და საკანონმდებლო დაწესებულებანი და იქიდან განაგებდნენ მთელს იმპერიას. ეს იმპერია შესდგებოდა მრავალი ერებისაგან. აი უმთავრესნი იმათაგანი:

გერმანელები	11 მილლ.
უნგრელები	8 „
ჩეხები	6 „
პოლონელები	4 „
უკრაინელები	3 „

ეს რიცხვი მხოლოდ მილიონებშია გამოხატული და ისიც მხოლოდ დაახლოვებითა; მაგრამ აქედანვე სჩანს, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენენ ჩეხები. თუ უნგრეთს განვაცალკევებთ და ავიღებთ კერძოდ ავსტრიას, რომლის ნაწილს შეადგენს ჩეხია, მაშინ პოლიტიკური მნიშვნელობა ამ ერისა უფრო საგულისხმეოა იქნება. ავსტრიაში გერმანელი მხოლოდ 9 მილიონია და ამისთანა სახელმწიფოში 6 მილიონ ჩეხებს უნდა ჰქონოდა შესაფერი ფასი და გავლენა.

მაგრამ არა. ერთხელ განადგურებული და დაღუპული ქვეყანა ძვირად იღვავს ფეხს. იგი—წელმოწყვეტილია, დაქსაქსული, დაფანტული, თავმოყრელი და შეურთებელი. არა სჩანს ერთობა, არ არსებობს შეთანხმებული მუშაობა. ამითი ჰსარგებლობს უფრო მომზადებული და მოწყობილი ერი და განაგრძობს თავის ბატონობას. ამ ბატონობისთვის საჭირო არის ორი საგანი: ერთი—ცენტრი სახელმწიფოისა, რომლის ირგვლივ უნდა სტრიალებდეს ცხოვრება მთელი ქვეყნისა, და მეორე—გარდაქმნა და გადაგვარება სხვა ერებისა. რუსეთში ამ გადაგვარებას ჰქვიან გარუსება, ავსტრიაში—გაგერმანელება ან გერმანიზაცია. მაშინდელ ავსტრიაში, როგორცა ვსთქვით, ეს ორი მიმართულება მტკიცედ იყო დაყენებული და განვიარებული. ადგილობრივ მმართველობას ჩეხიის პროვინციებში არა ჰქონდა თითქმის არავითარი მნიშვნელობა და გერმანიზაცია კი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ. „თეთრი გორის“ დამარცხების შემდეგ განდევნილი იყო ყოველ დაწესებულებებიდან ჩეხური ენა. ქა-

ლაქების თვითმმართველობა გერმანელების ხელში იყო, თუმცა მათი რიცხვი, თუნდაც მაგალითოდ პრაჰაში, არ აღემატებოდა 20% ყველა მცხოვრებლისას. სასამართლოში ისმოდა მხოლოდ გერმანული ენა და უნივერსიტეტში ლექციებს იმავე ენაზე ჰკითხულობდნენ. მხოლოდ სასოფლო სკოლებში მიღებული იყო ჩეხური ენა, მაგრამ ამას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგანაც სწავლის გასაგრძობად და უმაღლესი ანუ საშუალო განათლების მისაღებად აუცილებლად საჭირო იყო გერმანული ენა. ამ ნაირად თითქმის უმრავლესი ნაწილი უმაღლესი წოდებისა—აზნაურობა და მსხვილი ბურჟუაზია—ჩეხურად თითქმის სულ ვერ ლაპარაკობდა. თეატრებში და საკრებულო ადგილებში ისმოდა მხოლოდ გერმანული ენა. ბევრს ოჯახებშიდაც იგი იყო გამეფებული. მოწინავე კლასებს ჰბაძავდა უფრო დაბალი კლასისც. ქალაქ პრაჰის სასეიონო ქუჩები და ბაღები ამ მხრივ სწორედ ჩვენ „გოლოვინის პროსპექტს“ წაგავდა, სადაც ყოველი ქართველი მიაჩნაკუნებს თავის დამტყრეულ რუსულს და ქართულად ლაპარაკი კი ან არ შეუძლია, ან ეჩოთირება.

ამნაირად ბრძოლა თავიდანვე განსაზღვრული იყო. საჭირო იყო ეროვნული ცენტრის გადმოტანა ჩეხიის დედა-ქალაქში და განუწყვეტელი ბრძოლა გერმანელების გავლენის წინააღმდეგ—დაუცხრომელი შრომა ეროვნულ ნიადაგზე. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1848 წლისამ, რომელმაც დიდი ცვლილება მოახდინა შუა-ევროპის სახელმწიფოებში, დიდი სარგებლობა მოუტანა აგრედვე ჩეხიას. ეს ქვეყანა აღმოჩნდა კარგად მომზადებული. უწინდებური ლიტერატურული შრომა და სიტყვიერი ქადაგება უქმად კი არ დაკარგულა. საერთო რევოლუციონურმა მოძრაობამ მთელს იმპერიაში ფეხზე წამოაყენა ჩეხიაც. მთელი უნგრეთი, მაშასადამე, თითქმის მთელი ნახევარი იმპერიისა აჯანყებული იყო და ითხოვდა თავის ეროვნულ უფლებათა განხორციელებას. ისტორიული მომენტი მშვენიერი იყო. ასეთი მომენტები ორჯერ კი არა ჰხდება ისტორიაში და ვაი იმ ერს, რომელსაც ამისთანა მომენტებში არ გამოუჩნდებიან ნიჭიერი მეთაურები; ვაი იმ ერს, ვინც უვიცობის და ველური მიდრეკილების გამო ვერაფრით ვერ ისარგებლებს, ვერაფერს მოახერხებს, ხელს ვერ ასწევს, რომ ადვილად მოსწყვიტოს ნაყოფი ისტორიული მოძრაობით ჩამოდრეკილი ტოტებისაგან.

ჩეხიამ ხელიც ასწია და მოსწყვიტა კიდევ, რაც მოსაწყვეტი იყო. პირველადვე პრაგის მცხოვრებლებმა მოითხოვეს გათანასწორობა ორი ენისა ყოველ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში და აქედან თანდათან გადავიდნენ უფრო გრძელ პოლიტიკურ მოთხოვნებზე. არჩეული იქმნა „ეროვნული კომიტეტი“. იმან შეიმუშავა პო-



ლიტიკური პროგრამა, რომელიც შეეხებოდა როგორც ადგილობრივ რეფორმებს, აგრეთვე ვრცელი ეროვნული უფლების გადაწყვეტას და მოწესრიგებას. არჩეულ იქმნა განსაკუთრებითი კომისია და გაგზავნილი იმპერატორის წინაშე. მთელს ჩეხიაში ისე სდულდა ცხოვრება, საერთო გატაცება იმ წერტილამდე მივიდა, რომ ცხოვრების დუღილის შეჩერება შეუძლებელი გახდა—პრაჰის ქუჩებზე ატყდა რევოლუციონური ბრძოლა. ამით ისარგებლა მართებლობამ: დაუშინეს ქალაქს ზარბაზანი, შემოუსიეს ჯარი, და სისხლით მორწყულ ქუჩებზე მალე აღადგინეს „მშვიდობიანობა“. იმედებს მოელო ბოლო. რევოლუცია დამარცხდა მთელს იმპერიაში და ამ დამარცხებას მოჰყვა რეაქცია.

ჩეხიისთვისაც დაიწყო ახალი ხანა უბედურებისა. ყოველი მისი ეროვნული დეწესებულება, თუ რამე ებადა, გაუქმებულ იქმნა. მოსპეს საზოგადოებანი, დაჰხურეს სკოლები, დაჰკეტეს ყურნალ-გაზეთები. უმთავრესი მეთაურები მოძრაობისა შეიპყრეს და ჩაადგეს ციხეების ჯურღმულებში, ზოგი დაახრჩვეს, ზოგი განდევნეს. მაგრამ ვალდებულები და შეგნებული ეროვნული მისწრაფების ჩაქრობა ვერ შესძლეს. ათი წლის განმავლობაში ავსტრიის მმართველობა სასტიკად ებრძოდა ყოველ ეროვნულ ძარღვის ცემას ჩეხიაში, მაგრამ ამით არა გამოვიდა-რა. ხალხი უფრო გამოფხიზლდა, უფრო შეიგნო თავისი დაჩაგრული მდგომარეობა და როდესაც ავსტრიამ,—იმ დამარცხების გამო, რომელიც მას არგუნა დიდებულმა გარბალდომ იტალიაში,—შესცვალა კურსი თავისი შინაური პოლიტიკისა, ჩეხები არამც თუ არ შეურიგდენ მას და სიყვარულით კისერზე არ შემოეხვივნენ, არამედ უფრო მეტის გაბედულებით და შეურიგებლობით მოითხოვეს თავისი ეროვნული უფლებანი.

აი რაშია ეს უფლებანი: „მიწები ბოჰემიის გვირგვინისა—ამბობენ ჩეხები—შეადგენენ ერთს სახელმწიფოებრივ ერთეულს. იგი შესდგება ბოჰემიისა, მორავიისა და სილეზიისაგან. ამ ერთეულს იმპერიასთან უნდა ჰქონდეს მხოლოდ თავისუფალი ხელშეკრულობა, მხოლოდ პირობითი და მორიგებითი განწყობილება. დაგვირგვინება წმინდა ვაცლავის გვირგვინით პრიჰაში უნდა იყოს გარეგნული სიმბოლო ამ პოლიტიკური მდგომარეობისა“. აქედანა სჩანს, თუ რამდენად შორს მიდის ჩეხების მოთხოვნილება. ეს ავტონომია კი არ არის. ავტონომიურ წეს-წყობილებაში, როგორც მოგეხსენებათ, საზოგადო საიმპერიო საკითხები,—როგორც არის, მაგალითად, საერთაშორისო წარმომადგენლობა, სამხედრო საქმე და სამხედრო ზღვაოსნობა, საფინანსო და სადამოყნო პოლიტიკა და ზოგიერთი სხვა,—ამისთანა საკითხები გამოკალკევებულია და ავტონომიურ წეს-წყობილების კომპეტენციაში სრულებით არ შედის. ჩეხებს ამისთანა

ავტონომია აქვსთ კიდევ; ადგილობრივი თვითმმართველობა იმათ თანდათან მოიპოვეს ჩეხები—ჩეხობენ უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ ადგილობრივი თვით-მმართველობას: იგინი თხოულობენ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღდგენას. ამას არა ჰმაღავენ თვით ჩეხები. თუ უნგრეთმა მოიპოვა ამისთანა თავისუფლება და შეჰქმნა სახელმწიფოებრივი დუღილი, ძალიან ადვილი შესაძლებელია, ამ ორს სახელმწიფოს, ავსტრიას და უნგრეთს, პირობითად შეკავშირებულს, თან დაემატოს მესამე სახელმწიფოც—ჩეხია, და ამით შეჰქმნას სახელმწიფოებრივი ტრიალიზმი.

თეორიულად ამ მოთხოვნილების წინააღმდეგ კაცი ვერაფერს ვერ იტყვის. მაგრამ ამისთანა შეხედულება რეალურ ცხოვრებასთან წარმოადგენდა სრულს წინააღმდეგობას. მაინც ამ პრაქტიკულ უხერხულობას არ შეუშინდენ ჩეხიის წარმომადგენლები, და ავსტრიის საკანონმდებლო დაწესებულება (რეიხსრატი) გამოაცხადეს უკანონოდ. ჩეხიის დებუტატები იქ არ წავიდნენ და უარ-ჰყვეს ყოველი შრომა რეიხსრატში (1867—1868 წ.წ.). ამ ტაქტიკას არ აკლია სრული ლოლიკური თანდათანობა. თუ ჩეხია სუვერენული სახელმწიფო უნდა იყოს და მხოლოდ პირობით შეკავშირებული ავსტრიასთან, აშკარაა, ამისთანა ქვეყანა ვერ მიიღებდა მონაწილეობას სხვა ქვეყნის საკანონმდებლო პალატაში. იგი თავის პალატას თვითონ ითხოვდა კერძოდ და დამოუკიდებლად. ლოლიკურად, ვიმეორებ, ეს—ასეა. მაგრამ რამდენად ხელ-საყრელია მხოლოდ განყენებული ლოლიკა პრაქტიკულ ცხოვრებაში? ჩეხიას ათასი საჭიროება ჰქონდა, ათასი ცხოვრებითი საკითხი ელოდა გარჩევას და გადაწყვეტას. მართალია, ეს ათასი საკითხი სულ წვრილმანობა იყო და სრულებით არ ეთანხმებოდა იმ ბუმბერაზ მოთხოვნილებას, რომლის სიმბოლოდ იყო წმ. ვაცლავის გვირგვინი, მაგრამ ამ წვრილმანობის უარ-ყოფაც შეუძლებელი იყო.

აი აქ, ამ ნიადაგზე, შუა გაიფრინა ეროვნული მოძრაობა ჩეხიისა. აქედან იწყება ორი მიმართულება, და იზადება ორი პარტია—ძველი და ახალი ჩეხიისა.

ეს სურათი პოლიტიკური ბრძოლისა გადავდოთ შემდეგისთვის.

გ. გვაზავა.



მ თ ა


ინტელიგენციის სამსჯავროს წინაშე.

ოჯახს უნდოდა თავი დაეღწია თემისათვის, რადგან მისი მისწრაფება მოითხოვდა, რომ თავის ცხოვრების, თავის ბედის და უბედობის მჭედელი თვითონ

ყოფილიყო. ოჯახის ამისთანა ლტოლვილება გამოცალკევებისაკენ, მისი მძლავრი სურვილი თემის უღლიდან თავის დაღწევისა აიხსნება სხვა-და-სხვა მიზეზით; სხვათა შორის ოჯახი სცდილობდა თავისი შთამამავლობის პატრონი თვითონ ყოფილიყო, თავისი შვილები თვითონვე დაეწრთენა და დაეზარდნა თავის მიზნის მიხედვით. იმავე დროს თემი ჩემობდა ახალ თაობის უფროს მზრუნველობას. თემს სურდა, რომ მოზარდი თაობისათვის ხელ-მძღვანელობა თვითონ გაეწია, და ასეთის საშუალებით ყოველი ახალი თაობა გაეხადნა თავის მოქმედების იარაღად. მე განგებ არ ვეხები თემის და ოჯახის უთანხმოების სხვა მიზეზებს, რადგან მიზნად მაქვს ავიხსნა ერთად-ერთი კითხვა: მაყვალას მოქმედების ხასიათი. მაყვალა იზრდებოდა თავის ოჯახში; მასზე პირველ ხანებში, რასაკვირველია, მოქმედებდა ოჯახი, გვარი. ბავშობიდანვე მას ესმოდა სიმღერები თავის გვარისა და ოჯახის გმირების შესახებ; იგი ყურს უგდებდა ოჯახს, როდესაც იქ ლაპარაკობდნენ სხვა გვარეულობასთან უთანხმოებაზე; ესმოდა ხშირად ქება თავის ჯიშისა, ჩამომავლობისა. ოჯახი უნერგავდა თავის შვილებს მტრულ გრძობას, ზიზღს იმ გვარეულობისადმი, რომელთანაც ჩამოუვარდებოდა სისხლის საქმე. არც მთელ თემს აკლებდა ოჯახი: ხშირად თემობის მოქმედებას კრიტიკას უწევდა და ამ საშუალებით თემის ავტორიტეტს ამცირებდა თავის შვილების წინაშე. ერთი სიტყვით, ოჯახი თავისთვისა ზრდიდა თავის მომავალ თაობას. მაყვალა აშკარად ხედავდა, რომ მისი ოჯახი, მისი გვარი სულ სხვაა. ქალი ხედავდა, რომ მის ოჯახს, გვარს ასულდგმულებს განსაკუთრებული მისწრაფება, იზიდავს თავისებური ინტერესი. ქალი ხშირად მოწმედ იყო მის ოჯახის და გვარეულობის უთანხმოებისა სხვა გვართან ან მთელ თემთან ინტერესების ნიადაგზე; იგი ხედავდა, რომ ამგვარ შუღლის დროს ერთი გვარის ოჯახობა თანხმობით მოქმედებდა და მედგრად ებრძოდა მოწინააღმდეგეს. ამ პირობებში აღზრდილი ქალი იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ იგი ეკუთვნის სულით და ხორციით თავის ოჯახს, გვარს, რომ იგი ვალდებულია მთელის თავის ძალ-ღონით სამსახური გაუწიოს თავის ოჯახს, გვარს. ერთი ნაბიჯი კიდევ, და ქალი ხდებოდა თავის ოჯახის, გვარის ნების ამსრულებელი. იმავე დროს მთიელ ახალგაზღობის (ქალი, გინა კაცი) აზროვნება, ხასიათი, ზნე-ჩვეულება ვითარდებოდა, იზრდებოდა სხვა უფრო დიდ და მძლავრ გავლენის ქვეშ. ამ გავლენას—როგორც ზემოდაც ითქვა— ახდენდა თემი. ასაკში შესული ახალგაზღობა მონაწილეობას იღებს თემის ცხოვრებაში. ქორწილში, თუ სამღვთოებში მოზარდი თაობა ისმენს სიმღერას და თვითონაც მღერის. სიმღერაში ხომ მოთხრობილია თემის თავ-განწირული ბრძოლა უცხო ტომებთან ან მონათესავე თემებთან. სიმღერა

ცოცხლად უსახავდა მათ, რა დიდი გაჭირვება გამოუვლია თემს თავის სიცოცხლეში: ხან გამაჩვიებულნი დაბრუნებულა ბრძოლის ველებზე, ხან დაუტოვებია იქ არა ერთი და ორი საკუთარი გმირი; ხან სრულებით დამარცხებულა და შემოსეულს მტერს საძირკველამდე აუოხრებია თემი. ეს და ბევრი ამ გვარი სხვა მასალა, რომელიც ასაზრდოებდა და ავითარებდა ახალგაზღობის გონებასა და ზნეობას, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. თემის ყოველ წევრში იღვიძებდა ბოროტების და სიძულვილის გრძობა მტრისადმი; იმავე დროს თემის ყოველ წევრში ინერგებოდა და ღრმად ფესვებს იკიდებდა თანაგრძობა და სიყვარული თემისადმი. ახალგაზღობა იღუმალად თავის თავს ფიცს აძლევდა, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ემსახუროს თემს და მის მოღალატეს სიცოცხლე მოუსპოს... ახალგაზღობა ესწრებოდა ხატობას,—ამ უწმინდესს და უზენაეს სამსჯავროს მთიელ ხალხისას. აქ, ხატობაში, ყოველი მთიელი რწმუნდებოდა, თუ რა დიდი ძალის პატრონია თემი. მართლა-და, რას წარმოადგენდა თემი ხატობას? აქ თემი მოქმედებდა ხალხზე ორ გვარად: როგორც ღვთის ნების აღმასრულებელი, იგი ესაუბრებოდა ხალხს ხევის ბერების და დეკანოზების პირით; ხალხი ხედავდა, რომ ღვთის ძალა თემშია, ვინაიდან თვით ხევის ბერები და დეკანოზები თემის ამორჩეული პირები იყვნენ. როგორც ხალხის ნების გამტარებელი ცხოვრებაში, იგი ხშირად თავის უდიდეს საქმეებს აქ სწყვეტდა. ხალხიც ემორჩილებოდა. ყოველ შემთხვევაში, ხალხი რწმუნდებოდა, რომ თემი აღჭურვილი იყო ღვთის ძალით და ერის უფლებით. ტყუილად-კი არაა ნათქვამი: „ხმა ერისა—ხმა ღვთისაო!..“ ახალგაზღობა მუდამ ხედავდა, რომ თემი არჩევდა ყოველ თავის წევრის საქმეს, ასამართლებდა ოჯახს, გვარეულობას, სწყვეტდა სათემო საქმეებს და თავისი გადაწყვეტილება კიდევ გაჰყვანდა. თემის ცხოვრებამ, მისმა წეს-წყობილებამ შეჰქმნა ამ გვარი პირობები, და ამ პირობებში მიმდინარეობდა მთიელის სიცოცხლეც. და, რასაკვირველია, მაყვალაც სწორედ ამ პირობებში გაიზარდა და მოქმედებდა. მაყვალა აშკარად ხედავდა, რომ თემი იყო საშიში და მრისხანე, ვინაიდან ღვთის ძალით მოქმედებდა, მაყვალას ისიც შესისხლხორცებული ჰქონდა, რომ თემი—მძლავრი და მკაცრია, რადგან მას ზურგს უმაგრებდა თვით ხალხი. აქედან მაყვალა იმ ღრმა რწმენითა სცხოვრობდა, რომ თემის ნება უნდა იქნეს აღსრულებული, ვინაიდან თემს ვერსად წაუხვალ.

თემისა და ოჯახის ცნების შინაარსის გარჩევამ აშკარად დაგვანახვა, რომ მაყვალას ღრმა საბუთი ჰქონდა მიემართნა თემისათვის გაჭირვების დროს. მაგრამ აქვე იხადება კითხვა: თუ მაყვალამ რწმენით მიმართა თემს, რომელმაც მის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე, რატომ ვეღარ მოახერხა თავიდან



მოეშორებინა აუტანელი და ტანჯვით სავსე ცხოვრება?

უფრო მივეუახლოვდეთ ოჯახს და თემს. თემის და ოჯახის წეს-წყობილების ანალიზმა გამოარკვია ისიც, რომ ამ ორ სოციალურ დაწესებულებათა ინტერესების შეჯახება ნიშნავდა ორი მოპირდაპირე პრინციპის ერთმანეთში ანგარიშის გასწორებას. თემი, როგორც მატარებელი და დამცველი დემოკრატიული პრინციპისა, ებრძოდა ოჯახს, რადგან ეს უკანასკნელი მყარდებოდა და იცავდა კიდევ თვითმპყრობელობის იდეას. თემობას ერთმეოდა ის ძალა, —ეს ზემოდაც ითქვა,—რომლითაც ის მრავალ საუკუნოების განმავლობაში პატრონობას უწევდა თემსა და ოჯახსაც. ყოველი ადამიანი დიდ წინააღმდეგობას ეწევა, როდესაც მის უფლებების შელახვას აპირებს ვინმე. და განა თემი მოითბენდა, რომ მისი უფლება სხვაზე გადასულიყო? პირიქით, თემი უნდა ცდილიყო, უკანასკნელი ძალ-ღონე უნდა შემოეკრიბა, რომ თავისი უფლება, თავისი გავლენა ცხოვრებაში შეენარჩუნებინა. მაგრამ ოჯახი თავის მისწრაფებით, როგორც ნედლი ხის სოლი, ისე შეიჭრა თემობრივ წეს-წყობილების შუა გულში, და აქედან დაუწყო თემობას ღრღნა. ეს ბრძოლა იყო ფართო, ღრმა და სისტემატიური, ხან მედგარი, ხან მოღუნებული. ამ ბრძოლის გავლენის ქვეშ თემობრივმა ცხოვრებამ ჭაყა-ჭუყი დაიწყო: ოჯახის დავამ თემი დაშლის და დარღვევის გზაზე დააყენა. აშკარად სჩანდა მაშინვე, რომ ოჯახი თანდათან ძლიერდებოდა, თემი-კი სუსტდებოდა: რასაც ჰკარგავდა თემი, ის ემატებოდა ოჯახს. რასაკვირველია, თემობის და ოჯახის შეჯახება მარტოდ-მარტო არ ხდებოდა. ამ შეჯახებაზე დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობასაც, რაზედაც ქვემოთ იქნება ნათქვამი ორიოდ სიტყვა.

სწორედ თემობის და ოჯახის შორის გამწვავებულ დროს დაიბადა, გაიზარდა და განვითარდა მაყვალა. ოჯახის და თემის ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მაყვალა ირყევა და ვერ გამოარკვეულა, ვის მიემხროს—ოჯახს, თუ თემს. იმ ფაქტში, რომ მაყვალა თავის ნებით ირჩევს მიჯნურს და სიტყვას აძლევს, მხოლოდ მასზე გათხოვდეს, იხატება თემი, თემის გავლენა, იმ ფაქტში, რომ მაყვალა—მის უნებურად—მამამ გაათხოვა სხვაზე, აშკარად მოსჩანს ოჯახი, ოჯახის გავლენა. იმ შემთხვევაში, რომ მაყვალა თავს დაანებებს ქმარს და მიმართავს თემის სამართალს ქმართან დავაში, მაყვალაში იღვიძებს თემი; და თუ მაყვალა, მიუხედავად თემის გადაწყვეტილებისა, ისევ უბრუნდება თავის ქმარს, ამ საქციელით მაყვალა თავს უბრის ოჯახს. ამ რიგად, მაყვალამ ორქოფი ადგილი დაიჭირა თემსა და ოჯახს შორის, რის გამო მაყვალა ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდა. მაყვალა—ეს ხორციელად მოვლინებული დავა ოჯახისა და თემობის

სა. მაყვალამ ვერ ისარგებლა თემის ძალ-ღონით, რაც ადვილი მოსახერხებელი იყო მაშინდელ დროში. თემმა გადასწყვიტა—მაყვალა დამოკიდებულა თავის ავ ქმარს და ნება მისცა სხვასთან ეცხოვრა; და თუ დასჭირდებოდა, თემი დახმარებასაც გაუწევდა მაყვალას: სრულებით მოსწყვეტდა თემის მოწინააღმდეგე წევრს, მის ქმარს. ამ გვარ განდევნას მაშინდელი მთიელი, როგორც ცეცხლს, ისე ერიდებოდა. მაყვალამ ვერ გამოიჩინა იმდენი მხნეობა, იმდენი ენერჯია, რომ თემობრივ წეს-წყობილების საუკეთესო მხარე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. თემი ხომ ნებას აძლევდა შეუღლებოდა „საყვარელ“ კაცს. საუბედუროდ მაყვალაში ოჯახმა სძლია. მაყვალა მეტად სუსტი არსება გამოდგა. მაყვალა მთიელ ქალთა შორის მოწინავე ქალი არაა. მაყვალა არ დაღუპულა უსამართლობასთან ბრძოლაში, რადგან გაბედულად ვერ უწევს წინააღმდეგობას თავის მწარე ცხოვრების პირობებს.

ალბანელი.

(შემდეგ იქნება)



მცირე შენიშვნა მამულების შემქმნელთა საუკუნადღებოდ.

ქართული ჟურნალ-გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ უმიწა-წყლოდ დარჩენილ ქართველ გლეხებს და მიწა-წყლის შერჩენის საქმეს ბევრს სწერენ, ბევრს ამბობენ, მაგრამ ეს სულ სიტყვით, საქმით ჯერ ვერაფერს ვხედავთ, რაც, ცხადია, ფრიად სამწუხაროა. როგორც „დროება“ გადმოგვცემს თურმე გურულ გლეხებს დავაც დაუწყიათ ურთიერთ შორის მიწის შესყიდვისათვის.

თურმე გლეხებს ფული უშოვნიათ და მიწა კი ვერსად აღმოუჩენიათ. ეს თუ მართალია, და თუ საზოგადოება და ან კომისია არსებობს, რომელსაც მიზნად აქვს გლეხებისათვის მიწის აღმოჩენა და მათი მოვლა-პატრონობა, უმოორჩილესად ვსთხოვ ასეთ საზოგადო წევრებს მომმართონ წერილით და რამდენსაც მოისურვებენ მიწას, მე ვაყიდვინებ სოხუმის ოლქში, შეღავათიანის პირობით.

მესამე დღეა, რაც თავადმა ცამბაიამ 525 დესეტინა მიწა მიჰყიდა რუსებს, 120 მან. დესეტინა: აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ მიწაში 1902 წელს 300—400 მან. აძლევდნენ დესეტინაში, მაგრამ არ გაუყიდნია, ეხლა კი მესამედზე ნაკლებ ფასში გაჰყიდა. ეს მიწა მდებარეობს სოხუმის ოლქში ზღვის

პირობიდან მესამე ვერსზე. ასეთი მიწები ადგილობრივ თავადებისაგან ბევრი შეგვიძლია ვიშოვოთ და დროც ხელს გვიწყობს, რადგან ჩვენი ბრწყინვალე წოდება ნივთიერად ძრიელ დაქვეითებულია.

ქალაქი სოხუმი

ივანე თურქია.



თ ე ა ტ რ ი

27 თებერვლად ქართულ თეატრში ითამაშეს ღეოზინდ ანდრეევის ზიესა „ღღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

ღიღის ნიჭით დაუსტავს ღეოზინდ ანდრეევს თავისი ხალხის სულიერი ვითარება. ვიანც ამ ხალხს იცნობს, — ნათლად დანახავდა, რომ ზიესაში მარტო სტუდენტი, ოფიცერი და სხვა კი არ არის გამოყვანილი, არამედ, შეიძლება ავტორის უნებურად მთელი ერი სდგას ჩვენ წინაშე. მისი სული რაღაც ბუნდოვანი და გაურკვეველია. ბურუსით არის მოცული მისი გრძობა და გონება. გონება არ არის სრულიად განუფიქრებელი ბუნდოვანი გრძობისაგან. ამიტომაც იგი მუდამ გაიძისინს, — არ ვიცი რა მინდა, რა მწადან, რა არის სიამრთლე, რა არის კარგი და ცუდი და სხვა. მუდამ ამხედ ჭიფიქრობს, მაგრამ ვერასოდეს ვერ ასაქმებს მსჯელობას. დაქნცული არაყს მიამართავს. დამთვრალი სტირის. მერმე ჩხუბსაც გამართავს. მერმე კიდევ შესწუხდება, რომ სიგლახე ჩაიდინა, — ბოდიშს მიამართავს, შემდეგ ისევ არაყს და კონიაკს, ისევ ტირილსა, მერმე სიმღერას, კონცხს. ისევ კონიაკს, ისევ ცრემლსა და ასე დაუსრულებლივ.

ასხლგაზრდანი, თავისუფალი მოაზრენი, ბუნების წაიღთა შინა ქეიფობენ, არეითა და სიმღერით სტუბებინ. მაგრამ მოსკოვის ზარის გრიალი მაშინვე ჭკარში ახნევს მათ მხარულეებს. მთვარეც ამოვა, — და აქაც რაღაც უცნაური რეაქცია ხდება მათი სულისა ბუნების საუცხოო მოვლენისადმი: გაურკვეველობა, ბუნდოვანობა გრძობათა, ტირილი, ისევ არაყი, არაყი...

ასხლგაზრდანი, სიუვარულით ადგზნებულს, თვალის წინ ზნეობით დაცემული დედა საკუთარ ქალს ჭვიდის. ფულად, რყენის, — და არა თუ ქალს ვერ შეუკრებია იმდენი ძალა, რომ წინააღუდეგს ამ უბედურებას, გაიჭრას, ეძებოს ლეკმა შრომითა და შებდალული ნამუსი დაიცვას შეურაცხყოფელთაგან, არამედ მიჯნურიც უთავბოლოდ იტანჯება, ხელსა ჭკრავს სიუვარელს, მაგრამ იმავ სასტუმროში სცხოვრობს, სადაც თვალთ უუერებს თავის საუვარელ არსების კარგეზილების წუმბეში ცურვას. ტანჯვა, ცრემლი და არაყი, — აი მისი ღონისძიება და ნუგეში.

ოფიცერი, ისეა დატანჯული, „განათლებისა“ და კარგი საზოგადოების მძებნელი, თან ქალის ხორცსა ჭვილულობს, თანაც ამ ორგიაზედ სტუდენტებსა ჭკბტიეებს,

მათ „განათლებულ“ ტანისმოსს ჭკოცნის, არეით დაითრობა, მერმე დმერთხედ დაზარაკობს, თვალსოფელსის ისევე უთავბოლოდ, როგორც უთავბოლოდ სცხოვრობს და ღთობს.

ეველანი ერთად ღთობენ, მხარულეებს და თან იტანჯებიან. ოფიცერი, რომელმაც ატოცნის ასხლგაზრდა სტუდენტის სიუვარული თავის ნახუიდ ქალისადმი, ამასხლგაზრდას და მის ამხანგსაც ჭკბტიეებს ქალთან ქეიფში. ისედაც მთვრალი მიჯნური ვერ დაითრობა, მერმე ოფიცერს წაენხუება. შეიქმნება ხმლისა და რეველეერის ტრიალი; მერმე გაშეელება, ბოდიში, ტირილი, შემდეგ არაყი, ტირილი, შერიგება მიჯნურთა, ოფიცერის სინახული და... შემდეგ ალბად ცხოვრებაშიაც ისევ ტირილი, არაყი და ტირილი...

რა ხალხია ეს ხალხი? — ბავშვი, გაღთებული ბავშვი, რომელსაც არაფერში ზომას არა აქვს, რომელსაც არაფერი წესიერი არა აქვს. მათი ქეიფი, ქეიფი არ არის, სიუვარული სიუვარულს არა ჭკავს, გმირობა გმირობსა, გრძობა — გრძობსა. ეველანური არეულია. როგორც ბავშვები — ხან იცინიან, ხან სტირიან. ბავშვებისაგან მოხლოდ მით განიჩევიან, — რომ ღთობენ მუდამ, დაუსრულებლივ, და მოხლოდ არეის ხუხუის შემდეგ ახნდებათ გრძობა და ცრემლებსა ღვრიან.

„სად მხსოვს, რამდენ ადგილს მე ცრემლი დამიღვრიან“, ამბობს ონოფრე. და მართლაც, ძნელი დასახსნოვრებელია. იგი მუდამ და ეველანს შტირალია. დრო და სივრცე მისთვის დამოუკიდებელია არაყისაგან და კონიაკისაგან. ცათა შინა შშიადობა და სათნოება, კაცთა შორის და სუფრასხედ კი არაყი და კონიაკი, — აი მისი იდეალი, რომელზედაც იგი მუდამ ჭიფიქრობს და მუდამ ახორციელებს ბოთლებით სავსე სუფრასხედ.

როგორც ბავშვი, ასეთი ხალხი კეთილიც არის და ბოროტიც ერთსა და იმავე დროს, როგორც ერთსა და იმავე დროს კიდევაც იცინის და კიდევაც სტირის. მან არც კი იცის, რად ჩაიდან უსასტიკესი დანახულიც, და ეს მერვე კენილსა მწერადმა, დოსტოვესკიმ, ნათლად გადაგვიძალა თვალწინ...

და განა ცხოვრების მარტო ერთ ან რამდენიმე სიუვრამი ჩნდება ასეთი სახით მათი ბუნება? — ეველანს და ეოველ შემთხვევაში — იგი ასეთია — უცნაური, მტერეწლოვანი და თან გულის შემზარავი. ან კი რა უნდა იყოს გაღთებული ბავშვი!..

ჩვენი ბუნება სულ სხვაა. სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი დავკირვების ნიჭს, რომ მათი და ჩვენი ბუნება ერთმანეთს ამხგავოს. თვით მარინის მცხოვრებლებთან შეიძლება გვეჩხედეს რამე საერთოდ, — ამათთან კი არავითარი.

ამიტომაც თეატრში სიცილე-ხარხარი იყო ტირილის მაკვირად. არ იფიქროთ, რომ საზოგადოებს ვერა გავგოს რა და მიტომ დაეწოას ხარხარი. საზოგადოება ცოტა იყო, მაგრამ ისეთი, რომელსაც ესმის ცოტად თუ ბევრად ხელაზნური ნაწარმოები და ავტორისაგან ხელაზ-

ნურად დახატული სუელიერი მდგომარეობა ადამიანის. იცოდნენ არაჩვეულებრივ კრძობათა უწყსოებაზედ, ურბობაზედ, ეცნაურებოდაზედ, ხალხი მათი ტანჯვა, ვინაცის, იქნებ ჩვენ უფრო გვიკლავდა გუფს, ვიდრე მათ მოძმეებს, იმავე უთავბოდო ტანჯვას შეჩვეულ ხალხს უკლავს ხალხე. მსახიობებმა გვარაანად ითამაშეს.

B.



მაცდურო!

რას ვაქნევ მაგ შენს ღვთიურ ხატებას:
ან შენს უსუსურს

ტუჩს—ვარდის კუკურს?

რას ვაქნევ თვალებს—ცის ელვარებას,
ან შენს ხმას ციურს,

ტკბილს მელოდირს?

თუ კი, მაცდურო, შენი ერთგული
ულვთოდ აწამე, დაჰმე, გასწორე
და ვნების ბრწყალით მტარვალის გული
დაისაკუთრე, მოინადირე?

ი. ბრიშაშვილი.



ინგილოთა ყოფა-ცხოვრება

(ეთნოგრაფიული წერილები)

1.

დროს გატარებაში, დღეობაა თუ ნათლობა-ქორწილი სიმღერები არ იციან. მთელი საინგილო, რომ დაიაროთ, ვერსად ვერ გაიგებთ ვერც ერთს ქართულს სიმღერას, თვით უბრალო ქართული მრავალ ჟამიერიც-კი, რომელიც მთელ კავკასიის ერებშია გავრცელებული, აქ ხსენებაც არ არის. შეუძლებელი კი არის, რომ ძველად ლეკების დამკვიდრებამდის არა ყოფილიყვეს გავრცელებული საინგილოში სიმღერა-გალობები. თუ კი საქართველოს ყველა კუთხეებში ხალხი გუთანზედა და კალოზედაც კი არა ჩერდება და მუდამ მღერის, საინგილო რაღად იქნებოდა ყველა ამას მოკლებული? ლეკთა და თათართა ზედგავლენის მთელის საუკუნოების განმავლობაში, მათ მტარვალობას და აწიოკებას დაუვიწყებია ინგილოთათვის ქართული ეროვნული სიმღერები. მათ მაგიერ საინგილოში არა იშვიათად შეხედებით თარზედ მომღერალ ინგილოს, რომელიც


ზედ დამღერის თათრულს ან ლეკურს ბაიათებს.

დროს გატარებაში სმის დროს არ იციან საინგილო დღეგრძელობების თქმა და სხვა რამ. ინგილოთა ისინი მხოლოდ წყნარად ეტყვიან ხოლმე ერთმანეთს: „დაგლოცოს ღმერთმა, დაგლოცოს!“ და მეტს არაფერს. სიმთვრალე აქ დიდ სირცხვილად ითვლება და რაც გინდ დიდი წვეულება იყვეს, მთვრალს იშვიათად ნახავთ, თუმცა ღვინოს კი ყველანი სვამენ კაცებიცა და ქალებიც, ქრისტიანებიც და მუსულმანებიც. სმის დროს ძალის დატანება არ იციან; ვისაც რამდენი უნდა იმდენსა სვამს. სასმელ ქურჭლად ჭიქების მაგიერ პატარა თიხის ღოჭებს ხმარობენ, რომელსაც „არაწს“ უწოდებენ და რომელიც ერთის ხელიდან მეორეში გადადის და ვისაც რამდენი უნდა, იმდენსა სვამს. თვით სიტყვა „არაწი“, მე მგონი იქიდგან წარმომდგარა, რომ სულ არ ასწიო ქურჭელი, სულ არ გამოსცალო, ღვინო სხვებსაც დაუტოვეო. სმის დროს თუ ვისმეს შეამჩნიეს, ღვინო ეკიდებოა, უფროსი ვინმე ჩუმად ეტყვის „ზევით იქნაო“, ე. ი. ზევით თავში ღვინომ გაწყინაო და შეზარხოშებულიც მოვალეა, მაშინვე ადგეს და ჩუმად გაიპაროს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა დროს-გატარება, ნათლობა-ქორწილი, თუ წირვა, საკვირველის სიწყნარითა და სიმშვიდით სწარმოებს და არავითარი შფოთი და დავიდარაბა არ მოსდევს. თვით უღრდეს დღეობის ქურმუხობის დროსაც კი, სადაც მთელი საინგილო ქრისტიანი, თუ მუსულმანი იყრის თავს, საკვირველი სიწყნარე არის ხოლმე დაცული. თუმცა ამ დღეობის დროს მხიარულობა და დროს გატარებაც ბევრი იციან, მაგრამ ჩხუბსა და აყალმაყალს ვერა ნახავთ.

საზოგადოდ ინგილონი წყნარი ხასიათის ხალხნი არიან და უკადრის სიტყვა-პასუხისა და ლანძღვაგინების ხმარება არ ეხერხებათ. თვით ჩხუბის დროსაც კი იშვიათად აკადრებს ვისმეს ინგილო კუდს სიტყვას და მხოლოდ ყურუმსაღსა და ახმანს თუ უწოდებს.

ინგილოს საზოგადოდ კარგად უყვარს ჯამა-სმა. მაგრამ ყველაზედ უფრო საყვარელი საქმელი ინგილოებისა კამეჩის ხორცია და ფლავი. კამეჩის ხორცის სიყვარულით განთქმულია ინგილო. კამეჩის ხორცისაგან ამზადებს ინგილო ბასტურმას—ეს სამწვადე ხორცია. წვრილად დაჭრილს ხორცს ჰყრიან ქოთანში, ზედ ხახვს წვრილად აჭრიან, შინდის წვეწასა და ცოტა ძმარს ასხამენ და ასე ინახავენ მთელის თვეობით და როცა უნდათ, ამოიღებენ და ხელდა-ხელ მწვადს გააკეთებენ. ყველაზედ ბევრს კამეჩის ხორცისაგან ჭიჭინაგურებს ე. ი. ძხვებს აკეთებენ. წვრილად დაკვირვებულ ხორცით ნაწლევებსა სტენიან, რამდენიმე დღით გარეთ ჰაერზედ ჰკიდებენ და მერე ბუხრის წინ აშრობენ და ლორივით გამოჰყავთ. ამ გამხმარს, ლორივით გამოსულს, ჭი-



ჭინაგურებს ყველანი აკეთებენ ღარიბიცა და მდიდარიც, რადგანაც ზაფხულში, მუშაობის დროს ერთ უმთავრეს საქმელად ესა აქვთ. კამეჩის ხორცი-საგანვე აკეთებენ აგრეთვე კახახს, მაგრამ კახახს უმეტესად უფრო ცხვრისაგან აკეთებენ. კახახიც გამხმარი ლორივით გამოსული ხორცია. მთელს ცხვრის ლეშს მარილ-წყალში სტოვებენ ერთს კვირეს, მერე აშრობენ რამდენიმე დღეს ჰაერზედ და შემდეგ ბუხართან ჰკიდებენ ბოლზედ. ეს გამხმარი ხორცი მეტად ხელსაყრელია გლეხკაცობისათვის, ზაფხულის ცხელს დღეებში, როცა ინგილოები სოფლიდგან შორს არიან გაფანტულნი სამუშაოდ, მაშინ ინგილოს ეს გამხმარი ხორცი თან მიაქვს და როცა მოშივდება, ხელ-და-ხელ მწვადს გააკეთებს, შესწავს და შეექცევა. ამ მხრივ კახახი და ჭიჭინაგური მისწრებაა მუშა ხალხისათვის. მაგრამ ყველაზედ უფრო საყვარელი საქმელი ინგილოთა ფლავია. ბუნება საინგილოსი ხელს უწყობს ბრინჯის მოყვანას, ამიტომ რაც გინდა ღარიბი გლეხკაცი იყვეს, რამდენიმე ფუთი ბრინჯი მაინც უნდა მოუვიდეს. მართალი უნდა სთქვას კაცმა, ბევრგან საინგილოში მეტად კარგს ფლავს აკეთებენ. გარდა ამისა ინგილოებს საშინლად უყვართ: გირცი, ისრიმი, დობლაჯი, სირილი და სხვა. გირცი—ჭინჭრისაგან და საზოგადოთ მხლისაგან გაკეთებულ-შეზავებული ხინკალია, ხშირად გირცს ხორცისაგანაც აკეთებენ; ისრიმი—საზაფხულო საქმელია, რუსულ ოკროშკის მინაგვარი და კეთდება მაყვლისა და მკუხე ყურძნის წვენი-საგან, რომელიც თან დანაყილი ნიორით არის შეზავებული; დობლაჯი—წარმოადგენს ღორსა და ბრინჯსა ერთად მოხარშულს; სირილი—კიდევ მსუქან ხორციდგან მოხარშული გრძლად დაჭრილი ცომის ნაჭრებით შეზავებული წვენია.

ინგილოები თვალსაჩინოდ განიყოფებიან ორს სხვა და სხვა ბანაკად, რომელთ შორისაც მრავალი განსხვავებაა ხასიათსა და ცხოვრებაში. ინგილოები ზაქათალის ოლქის ორს საბოქაულოში სცხოვრობენ კაკისა და ალიაბათისა, ანუ ძველის სახელწოდებით ელისუსა და ენისელის სამოურავოებში. პირველში სარწმუნოებით ქრისტიანები არიან, ხოლო მეორეში მუსულმანები. ჩვენ აი ამ ორ საბოქაულოს ინგილოებზედა გვაქვს ლაპარაკი და არაფერს არ ვიტყვით იმ სულით ხორცამდის გადაგვარებულ-გალეკებულს ინგილოებზედ, რომელნიც მრავლად არიან ბელაქანში, ჭარში, ფიფინეთში და სხვაგან. იმათ მხოლოდ ბუნდოვანად და შერჩენიათ ხსოვნა თავიანთ ოდესლაც ქართველობაზედ და დღეს ისეთი უკიდურესი ფანატიკოსები არიან, რომელთა მზგავსნიც იშვიათად მოიძებნება თვით მუსულმანებში.


ენისელი ანუ ალიაბათელი ინგილო შეუგნებელია, გონება-განუვითარებული, ხეპრე და ისეთი მონა-მორჩილი ბევრებისა, მოღობისა და უმეტესად მთავრობისა, რომ უბრალო პოლიციის დარაჯის და-

ნახვანდაც კი ელეთ-მელეთი მოსდით. ელისუს ანუ კაკის ინგილო-კი უფრო ამაყია, გულადი, ზრდილი ბიანი და სწავლის მოტრფილე. იმ დროს როცა ენისელში ერთად-ერთი სასწავლებელია ს. ალაბათში, რომელშიაც ხშირად 3—5 მოსწავლის მეტი არ მოიძებნება, კაკის საბოქაულოს ინგილოთა თითქმის ყოველს სოფელში სკოლები არსებობენ და თვით კაკის ნორმალულ ორკლასიანს სასწავლებელში ხომ ტევა აღარც კი არის. თუ რამდენი განსხვავებაა სწავლა-გინათლებისადმი მისწრაფებაში ენისელისა და კაკელ ინგილოთა შორის, იქიდგანაცა სჩანს, რომ კაკის ნორმალური სასწავლებელი მთავრობამ პირველად ალიაბათში გახსნა, მაგრამ ალიაბათელებმა ბავშვები არ გაგზავნეს სასწავლებელში და მთავრობამ არ იცოდა, რა ექნა სასწავლებლისათვის. მაშინ კაკელებმა შესთავაზეს მთავრობას, შენობა, ბაღი და სხვა სასკოლო მოწყობილობა და მთავრობამაც იქ გადაიტანა სასწავლებელი. უნდა აღვნიშნოთ ამასთანავე, რომ თუ ვისმე ინგილოს უსწავლია და შემდეგ ცნობილი ყოფილა საქართველოში, ეს უთუოდ კაკის ინგილოები ყოფილან.

ასეთს განსხვავებას კაკელსა და ენისელს შორის, რასაკვირველია, სარჩულად უდევს მათი ისტორიული წარსული. დღევანდელი კაკის საბოქაულოს ინგილოები ყველანი სოფ. კაკიდგან წარმომდგარან, აქედგან გამოყოფილან და ცალკე სოფლები დაუარსებიათ. სოფ. კაკი კიდევ ძველად თავისუფალი სოფელი ყოფილა, ყოველივე ხარჯისა და გადასაღებისაგან განთავისუფლებული, რადგან მისი მცხოვრებნი ყარაულ-დარაჯის როლს ასრულებდნენ. ს. კაკი მდ. ქურმუხის ვიწრო ხეობაშია შექცედილი, საიდგანაც გზა დაღესტანში გადადის, ამიტომ კაკელნი დარაჯად იდგნენ, რომ არ ჩამოეშვათ, გზა არ მიეცათ საქართველოს ასაკლებად წამოსულ ლეკთა ურდოებისათვის. საქართველოს მეფენი პატივი ეპყრობოდნენ მათ, ანებივრებდნენ და მუდამ ასაჩუქრებდნენ, რათა კარგად და მუყაითად აესრულებინათ დაკისრებული მოვალეობა. ამ განებივრებიდგან წარმოსდგება მათი სიამაყე, თავისუფლების მოყვარეობა და შეუპოვრობა.

ენისელები კი შახაბაზისაგან საინგილოს აკლესისა და განიავების შემდეგ დარჩენილ ქვრივ-ოხერთა და უპატრონოდ დარჩენილ წარმოადგენენ, როცა ქართველთა მფლობელობა მოისპო საინგილოში და ქართველთა ნაოხარს ლეკები დაეპატრონენ. ეს ამბავი ნათლად არის გამოთქმული ერთს ხალხურ ლექსში, რომლის ნაწყვეტებიც არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ:

...გადმოიარა შიამა (ყიზილბაშმა)
 გაგვიწია აობა (ავკაცობა),
 შიგ ლეკები ჩავვიყენა,
 მოჰყვა სჯულის ძიება.



უმრავლესნი ჩონი ძმები
 იქ წაასხა ტყვეობა,
 მდიდარ-შემძლე იქ გაიქცა,
 დარჩა ოხერ-ობლობა
 ე, ქიზიყი და კახეთი,
 აქედ არის რჩეობა, *)
 ოხერ-ობლობი დაქუჩდა,
 კიდევ შეჰკრეს თაობა

აი ეს ოხერ-ობლობი, რომელნიც შახაბაზის ტყვეობას გადარჩენილან და რომელთათვისაც ქართველ წარჩინებულთ თავი მიუწებებიათ და თითონ კახეთისაკენ უქნიათ პირი, მოგროვებულან ალიაბათის-ენისელის საბოქაულოში. ეს ოხერ-ობლები უპატრონოდ დარჩენილნი ყმებად ვახიხადეს დაღესტნიდამ ჩამოსულმა ლეკებმა, რომელთაც უზომო ხარჯებს ახდევინებდნენ (ახდევინებენ დღესაც კიდევ), მუდმივ აწიოკებდნენ, სტანჯავდნენ და აწამებდნენ, რის გამოც საბრალო ენისელი ინგილო დაიჩაგრა, გონება დაეხშო და გაველურ-ვახებრედა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვსთქვათ, რომ საინგილოში არც ერთი თავადიშვილი ან აზნაური არ მოიძებნება. ისინი, როგორც ზემომოყვანილს ლექსში არის ნათქვამი, ან სპარსეთის ტყვეობაში მოჰყვნენ, ან კახეთს შეეკედლნენ. მთელი საინგილოს ქართველობა გლეხკაცობისაგან შესდგებოდა და თუ არიან სადმე ქარში ან ბელაქანში ჩამომავალნი ვაჩნაძეთა და ლეონიძეთა, იმათ ქართველობისა არა სცხიათ რა და მხოლოდ ხსოვნით იციან, რომ ოდესღაც მათი წინაპარნი ქართველი თავადიშვილნი ყოფილან, თორემ სხვა არაფერი სცხიათ მათ ქართველობისა.

დაბოლოს არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ინგილოთ სტუმართ-მოყვარეობა. ამ მხრივ ინგილო პირველ ადამიანს მოგაგონებთ. რაც უნდა ღარიბი იყოს ინგილო, თუ მივიდა ვინმე მასთან, უსათუოდ ყონალად, სტუმრად უნდა მიიწვიოს. — „მო ჩონსა ყონალად კეთდებოდე“, გეტყვის ინგილო და, თუ მისი თხოვნა არ შეასრულე, დიდათ შეურაცხყოფილად ჩასთვლის თავისს თავს. სტუმარი ინგილოს შეხედულობით ღვთისაა და არაფერს დაიშურებს მისთვის, რაც კი მოეძებნება. თუ ღვინო აქვს, მაშინვე მოხდის ქვევრს და არაწით ცივ-ცივს ღვინოს მიართმევს. ყონალობა ანუ სტუმარიანობა საშინლად არის გავრცელებული საინგილოში, მეტადრე ქალებში. ზამთრობით მაინც, როცა ბევრი თავისუფალი დრო აქვთ ქალებს, მთელის ოჯახობით იყრებიან და მიდიან ვინმე ნათესავთან სტუმრად დიდიან-პატარაინად. სახლში მხოლოდ მოხუცებულებსა სტოვებენ, ოჯახის საყარაულოდ. სტუმრებს თან მიაქვთ ხელსაქმეც, საკერი თუ საქსოვი და მასპინძლიანთსა სა-

ქმობენ, თან მიაქვთ ცოტა რამ ნობათიც: ვაშლი, მსხალი, წაბლი, თხილი და სხ. ეს არის ქართველებში რი კლუბი, თავისებური დროს გატარების მიზნით მუდმივი ერთფერობით ვაბეზრებულნი სხვებთან მიდიან სტუმრად, თან საქმობენ და თან ბაას-მასლაათში ატარებენ დროს.

სხვასაც ბევრს რასმეს საყურადღებოს შეიცავს ინგილოთა ცხოვრება, მაგრამ ამახედ შემდეგს წერილებში.

ზ. ედილი.



ჯილოდო მეფისა

იქ, სად ღიახეს დაუდგას შეირთავს მტკვარი და ახლას მთები აჩუ-მარეს ჭუტუნს შავ ჩრდილთა — კარის-კაცთ შორის და ბანოვანთ — ზაღატში ზრდილთა, იჯდა ამაყად თეთრს ჩარდასში მეფე თამარი — თამარ გვირგვინში, მეფე დიდი მრავალთა ერთა და უგვირგვინოდ თამარ მეფე კვლავ მშუენიერთა!

მის წინ მძღავრებს ანურებად ტალღებსა მტკვარი, ღიახვი ჩქარი მისედა ნაპირის კლდეს და მისი ტალღა ბერიოში შედგრად შეივარი გუფს უბობდა და სილად ჭქმნიდა მაგარს კიდეს და თევზთა ნაცვლად შიგ სტურავდენ აწ კლდეთ-ნატეხნი და ზვირთნი მღვრიე მკზავრობასში დაჟე ნატეხნი.

და წარეტაცა იმ ნიაღვარს ყოველის თვალი, მას სტვრეტდა მეფე, აზატი თუ ემა აზჯროსანი, თვალს აუფლებდა, თუ ვით სცემდა შორს კლდეში წყალი, ზირის ფარეში, ახადგაზრდა მანდილასანი, და მოისმენდენ: თითქოს წყალი აწ მას ამობდა, რასაც რაინდი, ან ქალწული მუნ ჩუმად ჭვრძობდა.

და უბნად! მეფის საყვარელი მიმინო შავი, მეფის ხელიდან აფრენილი გაჭევა იმ ტალღებს და, სად კლდის ნაპირს შეასხამდა წყალი თეთრს ქაუებს, იქ, ერთს ხის ტოტზედ დადგრემილმა ჩაჭკადა თავი... და ახმაურდა მთლად ჩარდასი და მეოფი ერი და თვით მეფესაც გადაეფარა ჭმუნვის იერი.

„ვინ მომგვრის მე აწ ჩემს მიმინოს იმ ნაპირიდან?“ ბრძანა მეფემ და თავის მხლებელთ მთავლო თვალი... და სდუმდა ყველა. არ იძრდა სიტყვა ზირიდან, მხოლოდ ისმოდა ვით ჭუვირთად კლდეებში წყალი, და მღუმარებით გასცქეროდენ სსშაშის ნაკადს და ჭუფლობდა შიში აზჯროსანს და მტურავსაც ნაქადს.

„ვინ მომგვრის, ვინა?“ — უხმო კვლავ მეფემ თავხედ გმიხს, ვინც უნდა იყოს: შორი ემა, თუ ემა სრას ნაზარდი,

*) ე. ი. რჩეულნი კაცნი კახეთ-ქიზიყში გაიქცნენ.

თუ ჯარის კაცი გულადი და მტურავი მარდი—
 ვინც გამთავის ჩემს მიმინოს მშვიდობის ნაზირს,
 ჩემი წყალობა სიგშირისა ჯილდოა მისი! —
 და სხასუხად კვლავ არ ისმის ხმა არავისი.

და არ გამოდის არც სრას ზრდილი და არც უმა მარდი,
 არც სხანს თავხედი—კარგს ვარსკვლავზედ დაბადებული
 და ვისც არად უხნს ადიდებულ წყალობა ნაფარდი,
 ისიც კი თქმობს გულის-ტემის შეჩერებული:
 —ზღვა არის მეუფის უხვი გული და დაბირება,
 მაგრამ ნამდვილ ზღვას მეუფის ჯილდოც ჩაიძირება!

და კვლავ ტალღები მოსტურავენ მარად ახლანი
 და ღვართი წყლის კლდე ნაზირებს სსსტიკადა სტემს,
 ნაზირზედ მთები ჩაღვრემილან ცაშდის მადლანი
 და ერთს ტოტზედ ჩარჩენილს მიმინოს სთველს.
 და მესამეჯერ უხმობს მეფე თავხელს გმირს
 და კვლავ ჭებრდებს ვინც გასტურავს სამიშ ნაზირს:

„ ვინც მომგვრის, იმას წყლის ტალღებში მად-
 ლიდეს ღმერთი

და წყლის ნაზირზედ დაიმადლოს მან თავის მკლავი,
 მას მივსტემ ვეკლას, რასაც მისტემს მას მეფე ერთი
 და რასაც მისთხვს მეფეს ერთი აქ მომავლადვი! —
 და ამ სიტყვებზედ უტბად ერთჯან იზობა ხალხი
 და მას უეურებს აწ მეფე და იმის ჩრდახი.

და მოაშურებს მეუფისკენ ჭაბუკი ერთი,
 იმისი თვალი მიბნედილა და სხე კრთება,
 აზჯარის ქვეშა ოდნავდა სტემს იმისი მკერდი
 და ფეხ ჯვარედინ გადაყრალი მის წინ ჩერდება:
 —რაცა სოქვი, დიდო ქაღბატანო, მეც დავიჯერე
 და ჯილდოს, ჩემო დედოფლო, მოვითხოვ მევე. —

და ამ სიტყვებით სწრაფ დაეშვა ჭაბუკი ნაზირს,
 უშიშარია აწ მისი გული და ცქერა თვალთა
 და ერთ კიდვან, იბრუნებდა სად ტალღა შავს ზირს,
 იგი გადაჭევა ზვირთებს მღვრიეს მდგვრად მავლთა.
 და მისს მკერდს მალე ტალღა მდგვარი ჭბანდა
 და მისი მკერდი მალე თვალთა ადარა სჩანდა.

და შიშით გასტქერს ჭაბუკისა აწ ეველა კვალს,
 მის ხსნას ღოცულობს აწ მეფე და აზჯარისანი,
 ღმერთსა ავედრებს უნცობის თავს მანდილოსანი
 და ცათა შიშართ ღოცვით სავსეს ადაზურობს თვალს.
 და შავ ქვაბიდან ვით ვეშაზი გამოდის ზვირთი
 და თან გამოსდევს მას ჭაბუკი და მისი ტვირთი.

წყალს აზობს მკერდით და მდინარეს ზევით მოჭეკვება,
 ვაჟ, ოდნავ მოსჩანს მუქ ზვირთებში იმისი თავი.
 ხან ჭეორავს ტალღა და ხან ტალღას თან გადმოჭეკვება
 და მამინ მასთან ერთად მოსჩანს მიმინოც შავი.
 და ვით ნათოტი იმ ტალღებზედ იგი ირხევა
 და ვით ისარი იგი უკან არ დაიხევა!

და უხარია ეველას. ეველა კითხულობს სხეელს
 და მის სხეელი არვინ იცის სით და ვინ არის,
 მეფე ჭეითხულობს მის ამხანავს და მისს მხახველს
 და ჭაბუკის მხახველიცა იქ არვინ არის,

და ხალხიც მხოლოდ მის სიგშირეს აწ სასწაულობს
 და მხიარული მის ხსნისთვისაც ადარ ღოცულობს.

და ამბობს მეფე და მის შუბლი აწ თითქოსა სწრაფს:
 —ვინ მეტყვის რას მთხვავს მე ჭაბუკი თვის სსსსკელს? —
 და არ ვინ იცის რას მითხვავს ის კასმრჯელს
 და არ ვინ იცის რად, რად უტდის მეფე იმ ზასუსს,
 მხოლოდ ჭაბუკი წყლისა ნაზირს სულ უსწორდება
 და მისი თვალი მეუფის ჩრდახს ადარ შორდება.

და დედოფალი მშეკნიერი, ელდა-ნაცემი,
 წყალობის ნაცვლად რის მის თვალებს ცრემლი სდიოდა,
 უტბად მუხლს იურის და რის სხე მისი ნაკვეში,
 ზირ-წავარდნილსა სინუმეში, თითქოს სჩიოდა,
 ცად მიზურობილი მხურვალეს ღოცვას ამბობს
 და იმ ღოცვაში ჭაბუკისა ხსნას ადარ ნატრობს.

და ზირ ქცეული ჭაბუკისკენ მხერს წყლისა ტარისს
 და ეუბნება: —თამაშად! და მოსტურე ნაზირს!
 მაგრამ თუ ის გსურს, რაც გასტყავს ჩემს დაწაზირს,
 ჩემ სამეფოს წყალთ ტალღებმა შენ ვერ გატარც!
 და ჩანთქვეი, თუ ქაღბატანს და შენს დედოფალს
 იმასვე მოსთხოვ, რასაც მოსთხოვ ერთ მშეკნიერ ქალს.

და კვლავ ამხედრდა ფსკერი წყლისა და ზვირთი შავი,
 თავდაწრით იღვა და უენოდ შიშს მეფეი ერი;
 მხოლოდ დედოფალს გადაჭეროდა ჭმუნვის იერი
 და მხოლოდ იმას აწია ამაყად თავი.
 და ერთხელ კიდევ მძვინვარებით ტალღა ჩაქანდა
 და იმ ტალღებში ის ჭაბუკი ადარა სჩანდა!

შ. ამირეჯიბი




მთის არწივი უამილი

ისტორიული ამბავი

(გაგრძელება მეორე კარისა)

მოწინავე რაზმის უფროსმა გენერალ პასსეკმა
 ვიკტოროვის რაზმის გაწყვეტის ამბავი გაიგო სიკვ-
 დილს გადარჩენილ ჯარის-კაცებისაგან. რაკი საქმეს
 აღარა ეშველებოდა რა, პასსეკი თავის გზას დააღ-
 ვა და გასწია თ. ბებუთაშვილისაკენ.

სალამოს, პასსეკი რომ დაბანაკდა და ცეცხლი
 გააჩინეს ჯარის-კაცებმა, აქეთ-იქიდან გულშემზარა-
 ვი ხმა მოისმოდა: „კურინელებო, ყაბარდოელებო,
 ნავაგელებო, ქართველებო, აქ, აქეთ მოდით!“ გზა-
 დაბნეული ვიკტოროვის რაზმის სალდათები თურმე
 ბნელეში დაყოლობდნენ და ამხანაგებს ეძებდნენ.
 რუსები რომ ამ ცეცხლში იყვნენ, მთიულები მხია-
 რულობდნენ გამარჯვებას, თოფებს სკლიდნენ, მღე-
 როდნენ და ხმა მალლა ლოცვებს ამბობდნენ. ახალ-



ახალ ხერგებსაც ბლომად აკეთებდნენ. გათენებამდის ცულების კაკა-კუკი არ შეწყვეტილა.

მეორე დღეს პასსეკმა რის ვაიფაგლახით შეადგინა სურსათისა და სამხედრო მასალის ტრანსპორტი და გაემართა დარგოსაკენ. წინა რაზმის უფროსობა ისევ თვითონ იკისრა, ხოლო არიერგარდი ჩაბარა პოლკოვნიკ რონჟევსკის.

ჭოჭიანი ხეობა, სადაც ვიკტოროვის რაზმი გასწყვიტა შამილმა, სავსე იყო გახრწნილი გვამებით. ელდა ეცა პასსეკს და მის რაზმს, ეს საშინელი სურათი რომ იხილეს. მიადგა თუ არა პასსეკი ამ საბედისწერო ჭოჭიანს, უცბად იგრიალა თოფებმა და ხელახლა დაიწყეს ხოცვა, ჟლეტა რუსებისა. მამაცი პასსეკი ქორივით შეიჭრა ბრძოლაში, იქ, სადაც რუსები მატლსავით ისრისებოდნენ, მაგრამ ტყვიამ გიუგმირა გული და პირადმა დაეცა დედამიწაზე. მოჰკლეს აგრეთვე პოლკოვნიკი ხონჟევსკი და მომეტებული ნაწილი ოფიცრობა. თვით პასსეკის გვამი უკვალოდ დაიკარგა. თურმე ჯარის-კაცნი ღამ-ღამე დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად გვამის საძებნელად, მაგრამ ამაოდ. ტყუილ-უბრალოდ საცოდავნი სიცოცხლეს სწირავდნენ და საქმეს კი ვერას შევლოდნენ. საყვარელ სარდლის გვამი ვერ იპოვნეს.

დადგა საშინელი, კრიტიკული წამი რუსებისათვის. შამილს შეეძლო სავსებით გაეწყვიტა რუსის მხედრობა და თვით მთავარსარდალი გრაფი ვორონცოვი ტყვედ წაეყვანა. ასეთს გაჭირვებაში რომ ჩავარდა ვორონცოვი, მისწერა მარცხენა ფრთის უფროსს გენერალ ფრეიტაგს — შეჰკრიბე ჯარი და გამოეშურე საშველად. ეს ბრძანება ხუთის სხვა და სხვა გზით გაუგზავნა ფრეიტაგს, რა არის, ერთერთი შიკრიკი მაინც გადარჩება ცოცხალი და ფრეიტაგთან უვნებელი მივაო. თ. ბებუთაშვილს-კი შეატყობინეს — დაბრუნდი თემირხანშურაში და თან წაიყვანე რაც ანდიასა და გუმბეთში ჯარია გაბნეულიო.

დილის 4 საათს, 13 ივლისს გრაფი ვორონცოვი დაიძრა შინსაკენ. რომ უფრო სუბუქად ევლო ჯარს, გრაფმა ბრძანა — მიძიე არა წამოიღოთ რა თან და ყველაფერი გააფუჭეთო. პირველი მაგალითი თვითონ მისცა ჯარს და დააწვევინა მთელი თვისი ძვირფასი ბარგი.

14 ივლისს რაზმი მიადგა სოფელ შუანისს. შამილმა წინ უყვლა რუსებს, მაგარი პოზიცია დაიჭირა გურდალის მთა-გრებილზე და შეუჭრა გზა. რუსების გასაველელი გზა ხერგებით აავსო შამილმა და მათი აღება უკანასკნელ ძალას უღვევდა რუსის მხედრობას. მოწინავე რაზმს უფროსობდა მელღერ-ხაკომელსკი და გრაფი ბენკენდორფი.

რაზმი მიიწევდა წინ ვიწრო ბილიკით დიდის გაჭირვებით. გზა-გზა მტერი მოსვენებას არ აძლევდა და სეტყვასავით ტყვიას აყრიდა. ამას გარდა დიდათ

უჭირვებდა საქმეს აუარებელ დაჭრილ-დაკოდილთა პატრონობა და საკაცებით ტარება. ხელს უშლიდა აგრედვე ათის ზარბაზნის თრევა, რომლებიც ღარ-ღარ სარგებლობდნენ, რადგან ყუმბარები დიდი ხანია გამოღეული იყო.

ჯარი თოვლსავით დნებოდა და იტანჯებოდა შიმშილით და ავადმყოფობით. ოფიცრობა ილეოდა. დაიჭრა მიძიმედ ბენკენდორფი; ჭრილობა მიიღეს ნავაგინის პოლკის კომანდირმა პოლკოვნიკ ბიბიკოვმა, პოლკოვნიკ ზავალიევსკიმ, მილიციის ოფიცერმა თ. ერისთავმა, საგენერალო შტაბის ოფიცერებმა: შტაბს-კაპიტნებმა: გრაფ გეიდენმა და ბარონ დელვიგმა; პორუჩიკმა ლონგინოვმა და გრაფ დე-ბალმენმა.

ჯარის-კაცნი ისე დაოსდნენ, რომ მოძრაობის თავი აღარა ჰქონდათ და დედა-მიწაზე ცვიოდნენ პანტასავით. აღიუტანტმა მოახსენა ვორონცოვს, ჯარს მოძრაობა აღარ შეუძლიანო. ბევრს ეცადნენ ლიდერსი, გურკო და ბელიავსკი, მაგრამ ველარა გააწყესრაო.

ჯარის უფროსებმა თათბირი მოახდინეს და გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, სარდალი უნდა გადავარჩინოთ ცოცხალი და უშიშარ ადგილს გავიყვანოთო.

აღიუტანტმა რომ მოახსენა გრაფ ვორონცოვს ასეთი გადაწყვეტილება ჯარის უფროსებისა, სარდალმა გულდამშვიდებით უპასუხა: უბედურება ჯერ შორსაა... ჩამოუარა მიწაზე გართხმულ სალდათებს და გაამხნევა სიტყვით. ტკბილ სალამის შემდეგ ვორონცოვმა იძრო ქარქაშიდგან ოსმალური კაუჭი ხმალი და გაჰქანდა ხერგებისაკენ. ამის დანახვაზე იხუვლა ჯარმა და უკან გაჰყვა საყვარელ სარდალს, რომელიც ჯართან ერთად იტანდა ათასგვარ გაჭირვებას. გამხნევება და აღფრთოვანება ისეთი ძლიერი იყო, რომ ასე გასინჯეთ მელუქნე-მარკიტანტები და ჩაღვადრებიც კი გამოეკიდნენ უკან ჯარს და წინ გაუსწრეს ვორონცოვს. გამხნევებულმა ჯარმა იერიშით აიღო ხერგი, მტერს დააცლევინა პოზიცია, მაგრამ გრაფმა ვორონცოვმა ისიც კარგად დაინახა, რომ ეს უკანასკნელი აფეთქება იყო სიმხნევე მამაცობისა. ამიტომ სარდალმა გადასწყვიტა ფეხი აღარ მოეცვალა ადგილიდან, ვიდრე ფრეიტაგი არ მოვიდოდა.

გულის გასაკეთებლად ჯარს ასეთი ბრძანებით მიმართა გრაფ ვორონცოვმა: „ყველანი ვხედავთ, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა ჩვენი რაზმი. გარს გვახვევია გამარჯვებით აღფრთოვანებული უთვალავი მტერი. დაჭრილ-დაკოდილთა რიცხვი 1500 კაცს აღემატება. სასმელ-საჭმელი აღარ მოგვეპოვება. ყუმბარები თითქმის აღარ დაგვრჩა. შეუძლებელი გახდა წინ წასვლა. შეიძლება გაუსხლტეს მტერს ღამის წყვილადში მცირეოდენი რიცხვი ჩვენებისა და სამშვიდობოში გავიდეს, მაგრამ მაშინ თავი

უნდა დავანებოთ და ღვთის ანაბარად დავსტოვოთ დაქრილ-დაკოდილი ჩვენი ამხანაგები. რალა თქმა უნდა, ჩვენთაგანი ვერავინ იკისრებს ჩაიდინოს ასეთი შეუწყნარებელი ცოდვა. მე ხომ ფიქრადაც არ მომივა ჩაიდინო ასეთი ცოდვა.

საქმე არც ისე ცუდაა, რომ ყველაფერი დაკარგულად ჩაითვალოს. კაცები გავუგზავნე გენერალ ფრეიტაგს და ვაცნობე ჩვენი გაჭირვება. ყველას მოეხსენება, რა სარისტიანი გენერალია ფრეიტაგი. დარწმუნებული ვარ, რომ გენერალი ფრეიტაგი დაგვიხსნის გაჭირვებისაგან. მაგრამ თუ გვიწერია ბედისაგან სიკვდილი, დავიხოცნეთ როგორც შეჭფერის რუსებს. მტერს რომ არაფერი ერგოს ჩვენის ქონებიდან, კარვები და საცვლები ნაჭრებად ვაქციოთ ქრილობათა შესახვევად, ხოლო დანარჩენი ქონება გავანადგუროთო*.

ერთად ერთი იმედი ფრეიტაგი-ლა იყო, ამბობდა თურმე გრაფი ვორონცოვი, შემდეგში რომ იგონებდა დარგოს ლაშქრობას. მე ჩემი თავი არ მენანებოდა, სირცხვილიცაა ჩემს ხანში და ჩემს ხელობაში სიცოცხლეზე ზრუნვა, მაგრამ გულს მიკლავდა დაკოდილთა მწარე ბედით.

გრაფ ვორონცოვის ბანაკი სოფელ შაუხალ-ბერდის ფერდობებს აეკრა. მდინარეს მეორე ნაპირს შამილის ბანაკი იყო და იქიდან სამის ზარბაზნიდან ყუმბარებს აყრიდა შამილი რუსების ბანაკს. უმოძრაოდ იდგნენ რუსები ერთ ადგილს და ისეთს გაჭირვებას ითმენდნენ, რომ სამი კაცი ერთად ვერ იკრიბებოდა შამილის ყუმბარების შიშით. თვით ვორონცოვის კარავი თვალსაჩინო ადგილს იყო დადგმული და თუმცა ოფიცრობა ემუდარებოდა, ნება მოგვეცით სხვა უშიშარ ადგილს დავდგათ თქვენი კარავიო, მაგრამ გრაფი არ ყაბულდებოდა. დამშვიდებით წვებოდა მოსაკეც ლოგინზე და კითხულობდა ახლად მიღებულ ინგლისურ გაზეთებს*) და სრულებით ყურს არ აქცევდა, რომ შამილს ადვილად შეეძლო ნიშანში ამოედო მისი კარავი და მიეღწე-მოეღწეა.

18 ივლისს, საღამოს 5 საათზე, სანიშნო ზუმ-ხუნამ შეატყობინა ვორონცოვის რაზმს, რომ „მხსნელი“ ახლო-მახლოა.

*): გრაფი ვორონცოვი რუსის ლონდონელ ელჩის შვილი იყო და ზედ-მიწევნით იცოდა ინგლისური ენა და ინგლისური ლიტერატურა. ოდესაში ყოფნის დროს, პუშკინის ლექსები რომ წაიკითხა, ასე დაახასიათა ვარსკვლავი რუსის პოეზიისა: უხეირო მიმბაძავი ბაირონისაო.

მეორე დღეს, 19 ივლისს, გენერალი ფრეიტაგი გაემართა ს. შაუხალ-ბერდისკენ, ხოლო აქედან ვორონცოვი აიყარა და ფრეიტაგისკენ მისწვია ერთი ორჯელ-სამჯერ ესროლეს რუსებს მთიულეებმა და მერმე თავი დაანებეს და გაიფანტნენ. როდესაც ჯარები შეერთდნენ, გრაფმა ვორონცოვმა შესძახა თავის რაზმს: მოახსენეთ „ურა“ თქვენს მხსნელსა და სიცოცხლის მომნიჭებელსაო.

20 ივლისს გრაფ ვორონცოვის რაზმი დაბრუნდა ს. გერზელს, სადაც აღარაფერი შიში აღარ მოელოდათ.

ასე უბედურად გათავდა დარგოს ლაშქრობა, სადაც რუსებმა დაჰკარგეს 3031 ჯარის კაცი.

დარგოს ექსპედიციამ ჰკუთასწავლა რუსებს და ამ დღიდან ხელი აიღეს დიდის რაზმებით შესვლაზე შუაგულ საჩაჩნოში და დაღესტანში და დაიწყეს ნაპირებზე სტანიციების მოწყობა, ტყეების გაჩეხა და ნელ-ნელა წინსვლა. ახალმა ტაქტიკამ სული შეუხუთა მთასდა, როგორც ზემოდ მოგახსენეთ; უკანასკნელად ბაწრის წვერი მოსწია თ. ბარიათინსკიმ 25 აგვისტოს 1859 წელს გუნბის მთაზე და მთის არწივი შამილი გალიაში გამოამწყვდია.

დარგოს ლაშქრობისათვის გრაფ ვორონცოვის უწყალობა იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თავადის ღირსება.

ამ მცირე ისტორიულ ამბის უკანასკნელ კარში მკითხველს გავუზიარებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ მთის ბატონი შამილი, ეს შეუდარებელი იმამი დაღესტნისა, უბრალო ლეკი არ იყო. ჩვენ გვჯერა, რომ შამილის ძარღვებში სჩქეფდა ქართველის სისხლი, სისხლი იმ ერისა, რომელიც მიჩვეული იყო ბატონობას და მართვა-გამგეობის უნარიც ბევრჯელ გამოუჩენია სისხლით მორწყულ მრავალ-კარიან თავის ისტორიაში.

ა. ფრონელი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.